სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 26 მაისი 2004 №118 (2137) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



26 მაისი ჩვენთვის და ევროპისთვის

დინამო თბილისი **VS** ტორპედო ქუთაისი

მონაკო საფრანგეთი **VS** პორტუ პორტუგალია





ეროვნული ბიბლიოთეკა

შირესს ტანკის დანახვაზე საფრანგეთი გაახსენდა

მარტოკაცი თამაშშიც ბრალია

საქართველოს ნაკრები დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთხელაც ივარჯიშებს და ხვალ ისრაელს დაუპირისპირდება.

გუშინდლიდან მოყოლებული ეროვნული გუნდის შემადგენლობა უცვლელი დარჩა, მწვრთნელი ალენ ჟირესი ებრაელებთან მატჩისთვის 19 ფეხბურთელს ამზადებს



ალენ ჟირესი

გუშინ ნაკრებს ერთი მცირე პრობლემა შეექმნა. დილით „ისნის“ სტადიონისკენ სავარჯიშოდ მიმავალმა გუნდმა ავლაბრამდე ვერ მიაღწია, 26 მაისის აღლუმისთვის მოსამზადებლად ქუჩაში გამოსულმა ტანკებმა ნაკრების ავტობუსს გზა არ გააგრძელებინეს და გუნდმაც „ლოკომოტივს“ მიაშურა, სადაც საათნახევარი ივარჯიშა. მერე ალენ ჟირესმა შეგირდები დაასვენა, ჩვენ კი სასტუმრო „ბატესტაში“ პრესკონფერენციაზე შეგვხვდა.

— ისრაელთან სათამაშოდ გუნდი მზადაა, სავარჯიშო პროცესი ისე მიმდინარეობს, როგორც დაგეგმილი გვქონდა, ხელისშემშლელი არაფერია. მსურდა, რომ ხიზანიშვილს, აშვეთიასა და ქემოკლიძეს ეთამაშათ, მაგრამ ისინი ტრავმირებულნი არიან. ქემოკლიძეს ფეხი სტკივა, აშვეთიას კი კუნთები აწუხებს, ის გადაღლილია. ამ ფეხბურთელების ნაცვლად „თბილისიდან“ კვარაცხელია და აფციაური გამოვიძახე. მათი თამაში რამდენჯერმე ვნახე და მომზადების დონით კმაყოფილი დავრჩი.

...ისრაელთან სათამაშოდ ძირითადი შემადგენლობა მოფიქრებული მაქვს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ხვალ კიდევ ვივარჯიშებთ, ფეხბურთელებს დავაკვირდები. ერთს კი ახლავე გეტყვით — საქართველოს ნაკრებისთვის პრიორიტეტული 4-4-2 სქემაა და ისრაელთანაც ასეთი განლაგებით ვითამაშებთ.

...ვინ იქნება ნაკრების კაპიტანი, ჯერ ვერ გეტყვით. ჩემს აზრს გუნდს ვეტყვი და კაპიტანსაც ფეხბურთელები აირჩევენ. აუცილებელი არაა, გუნდი სათამაშოდ საუკეთესო ფეხბურთელმა გაიყვანოს, მთავარია, რომ კაპიტანი მოედანზე მწვრთნელსა და გუნდს შორის ერთგვარი შუამავალი იყოს.

...ჩემთვის, რა თქმა უნდა, ყველა მატჩში შედეგია უმთავრესი და ისრაელთანაც ამ განწყობით ვამზადებ გუნდს. თამაში ამხანაგური კია, მაგრამ შედეგს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმც ეს მატჩი ნაკრების ჩამოსაყალიბებლად, მომავალი შეხვედრებისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ.

...ისრაელის ნაკრების ვარჯიშს 10-15 წუთი დავესწარი. რისი გაგებაც მსურდა, გავიგე და ამას ხვალ ბიჭებს ვეტყვი.

...კალაძე და კობიაშვილი გუშინ არ გამიცვნია, თუმც გუშინ ერთად პირველად ვივარჯიშეთ. კმაყოფილი ვარ, კარგი ბიჭები არიან, პროფესიონალები.

...როცა გუნდი თამაშობს, გუნდური დისციპლინა უმთავრესია. ფეხბურთელს მწვრთნელმა კონკრეტული დავალება უნდა მისცეს და მერე მისი შესრულება მოსთხოვოს. გუნდური თამაშიდან ფეხბურთელი არ უნდა ამოვარდეს. მარტო კაცი ვერც ფეხბურთში, ვერც ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევს. გუნდური დისციპლინის არქონა თუ იყო საქართველოს ნაკრების ნაკლი, ახლა ეს გამოსწორდება.

...დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ქვეყანა საზეიმოდ ემზადება და რა მოხდა, გზები თუ გადაიკეტა?! როცა ზეიმია, საფრანგეთშიც ასეა. ასე რომ, ქუჩაში ტანკების გამოსვლა და გზის გადაკეტვა არ გამკვირვებია.

პრესკონფერენციაზე ალენ ჟირესი ხალისიანად გამოიყურებოდა და როცა ამის თაობაზეც იყო კითხვა, აქეთ იკითხა, აბა, უხასიათოდ რატომ უნდა ვიყო, ყოველი მატჩის წინ ასე ვარ და მსურს, ჩემი ასეთი განწყობა ბიჭებს გადავდოო.

გუშინ უხასიათოდ არც ბიჭები იყვნენ. ჟირესმა ისინი დილის ვარჯიშის მერე გაათავისუფლა და სასტუმროში საღამოსთვის დაიბარა.

მერაბ ჟორდანია

— სეზონის მერე ცოტა გადაღლილები კი ვართ, მაგრამ ისრაელთან თამაშისთვის ეს ხელს არ შეგვიშლის. ვემზადებით მატჩისთვის და დიდი ხნის უნახავ ქართველ ქომაგთან შესახვედრად — გვითხრა *ლევან კობიაშვილმა*, რომელმაც ჟირესის ხელმძღვანელობით გუშინ პირველად ივარჯიშა — პირველსავე ვარჯიშზე დავრწმუნდი, რომ ჟირესი გაცილებით ახლოა ევროპულ ფეხბურთთან, ვიდრე ნაკრების წინა მწვრთნელები, მისი ვარჯიშები დახვეწილი და ევროპულია, რაც ჩვენს ნაკრებს ძალიან სჭირდება. თუმც, ვიფიქროთ, აგერ, ჟირესია ჩვენი მწვრთნელი და აუცილებლად მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე გვათამაშებსო, გადაჭარბებული იქნება.

— ისრაელთან მატჩზე რას იტყვი?

— ძალიან კარგია, ამხანაგურ მატჩს რომ ვთამაშობთ და თანაც ახლა, ევროპის ჩემპიონატამდე. მერე ყველა ისვენებს და სათამაშოდ ვერავინ მოიცლის. ჩვენც, ხომ შემდეგი ამხანაგური აგვისტოში გვაქვს. იმედია, ჟირესი ამ ორი მატჩის გათვალისწინებით შესარჩევი ეტაპისთვის ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევას შეძლებს.

— ტრავმა აღარ გაწუხებს?

— არაფერი მაწუხებს, ჯანზე ვარ და მთელი ძალით ვითამაშებ.

— თბილისში გუშინ ჩამოსული გერმანიაში მატჩის შემდეგვე რატომ ბრუნდები?

— შვებულება მაქვს და დასასვენებლად მივდივარ.

ქოგა ინასარიძე



ლევან კობიაშვილი



კახა კალაძე



ალექსანდრე იაშვილი

ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
A ჯგუფი. III ტური
ჰელმონდი 2:2 ვიტესი
ვენლო 0:2 სპარტა
B ჯგუფი. III ტური
ექსელსიორი 2:1 ვოლენდამი
ჰერაკლესი 2:0 გრააფსხაპი

ამხანაგური მატჩები

ამხანაგური მატჩები
ავსტრია 0:0 რუსეთი
ახალგაზრდულები (U-21)
ირლანდია 3:1 შოტლანდია

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. III ტური
ფრამი 0:2 აკრანესი

შვედეთი

თასის III ეტაპი
ტოპკაპი 0:2 გაის

სლოვაკეთი

პირველი ლიგა. XXXIII ტური
ტრნავა 1:0 პეტრჟალკა
ინტერი 1:2 ბანსკა ბისტრიცა
ტრენჩინი 1:0 დუბნიცა
რუჟომბეროკი 0:3 ჟილინა
პუხოვი 1:1 სლოვანი

ოფიციალურმა ჩელებაძემ გოგიტიძე მიიყვანა

გუშინ „ბათუმში“ დიდი ცვლილებები მოხდა. კლუბის დამფუძნებელთა კრებამ „ბათუმის“ პრეზიდენტად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი რევაზ ჩელებაძე დანიშნა. ამ თითქმის გადაწყვეტილ ამბავს ბოლო ხანებში ხშირად გაიგებდით, მაგრამ გუშინდლამდე ოფიციალურად არაფერი იყო გარკვეული — კლუბს ძველებურად თემურ ბეჟანიძე თავკაცობდა.

ერთი სიტყვით, ახლა „ბათუმს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს და, როგორც ხდება ხოლმე, ახალმა პატრონმა გუნდში ახალ კადრს უხმო — „ბათუმის“ მწვრთნელად ამირან გოგიტიძე იმუშავებს. ჩელებაძის თქმით, „ბათუმი“ მალე დაიბრუნებს ძველ სახეს და სახელს და საქართველოს ჩემპიონატში მოწინავეთა შორის დასამკვიდრებლად იბრძოლებს. იგი დღე-დღეზე უცხოეთში გაემგზავრება და როგორც თქვა, საქართველოში ინვესტორებთან ერთად დაბრუნდება. ასე რომ, ბათუმი ახალ საფეხბურთო ცხოვრებას იწყებს.

რევაზ ჩელებაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყებუჩავა სამოცს ისრაელთანაც გაცხრილავს

გიორგი დევდარიანი, გოჩა ტყებუჩავა, ნიკა ჩხეიძე

ფოტო: ალექსანდრე ბერიძის

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ებრაელ თანატოლებთან მატჩისთვის ემზადება და სასტუმრო „მესაზღვრეშია“ დაბანაკებული.

გუშინ ამავე სასტუმროში დაიდო ბინა ქუთაისის „ტორპედომ“, რომელსაც დღეს თასის ფინალი აქვს სათამაშო „დინამოსთან“. ერთი სიტყვით, „მესაზღვრე“ საფეხბურთო ზღვარზეა — მეორე სართულზე „ტორპედო“, მესამეზე ოცდაერთწლამდელთა ნაკრები — ერთი სართულიღა დარჩა არასაფეხბურთო.

სასიამოვნო საცქერია, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს ერთი ფორმა აცვიათ — ყველანი „პუმებში“ არიან გამოწყობილნი, გარეგნულად გუნდი გუნდს ჰგავს, დანარჩენი კი თამაშებში გამოჩნდება.

გუშინ საღამოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა დიღომში „ოლიმპიკის“ მოედანზე ივარჯიშა, ხოლო დღეს დილით ეროვნულ სტადიონზე მოიდენს ოფლს.

გუშინ, ნაშუადღევს კი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობამ პრესკონფერენცია მოაწყო — ჟურნალისტთა შეკითხვებს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა *გოჩა ტყებუჩავამ* უპასუხა.

— გარკვეული პრობლემები შეგვექმნა, რადგან 26 მაისს თასის ფინალია, ხოლო შემდეგ ოქროს მატჩი და ამ შეხვედრებში მონაწილე გუნდებმა გვითხრეს, ჩვენს ფეხბურთელებს ისრაელთან მატჩისთვის ნაკრებში ნუ გამოიძახებთო. „ვიტ ჯორჯიადან“ იმედაშვილი და მარცვალაძე დაგვაკლდებიან, ხოლო „დინამოდან“ კაშია, იაშვილი და კანკავა. სავიზო პრობლემების გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა ჭიღლაძე, ხოლო თეიმურაზ ბურნაძეზე „შერიფმა“ გვთხოვა, მნიშვნელოვანი მატჩი გველის და ნუ გამოიძახებთო. ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ დავიმატეთ სანდრო გურული, რომელიც მალე „ლიონთან“ მოაწერს ხელს კონტრაქტს, აგრეთვე ირაკლი სამხარაძე „სპარტაკიდან“ და გოგუა და ჯიქია „თბილისიდან“.

— შესარჩევ ციკლში პირველი მატჩი თურქეთთან გველის. თურქი ახალგაზრდები ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მზად. ბევრს მოძრაობენ და ჩვენც ახლა ამ ასპექტს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

— სულ სამოცი კანდიდატი მყავს შეგულებული ახალგაზრდული ნაკრებისთვის. ამხანაგურ მატჩებში მსურს დავინახო ცალკეული ფეხბურთელების თამაშის ხარისხი.

— რაც შეეხება თასის ფინალს, მატჩს მთელი გუნდით დავესწრებით.

დავით თავართქილაძე

აგენტი 00...

ისრაელი საქართველოში დაჭღვეული ითამაშებს

ქართველების ხვალინდელი მეტოქე ისრაელის ნაკრები თბილისში გუშინ, გამთენიამდე ჩამოფრინდა და გუშინვე საღამოს „ლოკომოტივის“ სტადიონზე საათი-საათნახევარი ივარჯიშა. მართალია, ებრაელები უძლიერესი შემადგენლობით არ ჩამოსულან, თუმც მწვრთნელმა აბრამ გრანტმა ის ფეხბურთელები კი იახლა, რომელთა იმედიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისას ექნება

ფოტო: ალექსანდრე ბერიძის

აბრამ გრანტი

ისრაელის ნაკრების სადღეისოდ უძლიერეს შემადგენლობას თბილისში სამი ფეხბურთელი დააკლდება — მეკარე შავიტ ელიმელიხი, ნახევარმცველები ეიალ ბერკოვიჩი და პინი ბალილი ტრავმირებულნი არიან. სამაგიეროდ, თბილისში ითამაშებენ ესპანური „რასინგის“ იოსი ბენაიუნი და ომრი აფეკი. გრანტის განკარგულებაში სულ 18 ფეხბურთელია, მათგან რამდენიმეს კი იმ თბილისურ მატჩიც უთამაშია, რომელიც ჩვენებმა 3:2 მოიგეს.

— მაშინ ჩვენს ნაკრებს დანიელი რიჰარდ-მიოლერ ნილსენი წვრთნიდა. ის მარცხი მწარედ გვახსოვს, ისიც მახსოვს, ერთი გოლი ქეცბაიამ გაგვიტანა, რომელიც ჩინებულ ფორმაში იყო და საქართველოს ნაკრების თამაში სწორედ მას მიჰყავდა — გვითხრა ისრაელის ნაკრების პრეს-ატაშემ შაულ ეისენბერგმა — ვნახოთ, 27 მაისს რა იქნება, ისრაელის ნაკრები ბრძოლასა და ლამაზ ფეხბურთს გპირდებათ, დანარჩენს კი თამაში გვიჩვენებს...

სტუმარი ამას რომ ამბობდა, „ლოკომოტივის“ ტრიბუნაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი და მისი თანაშემწე გია გურული გამოჩნდნენ. ეისენბერგმა ჟირესი მაშინვე იცნო, აი, თქვენი ნაკრების მწვრთნელი მოვიდაო, და მისკენ სასაუბროდ გაემართა. რაზე ისაუბრეს, ვერ გეტყვით, თუმც ჟირესი რომ ტრიბუნაზე დიდხანს რა გაჩერებულა, ფაქტია. ფრანგმა ისრაელის ნაკრებს თვალი შეავლო და ათ წუთში სტადიონიც დატოვა.

ახალგაზრდა, ტანხმელი და შავტუხა მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი გვასტუმრა ებრაელთა მწვრთნელმა. ნაკრებში ყველაზე უფროსი 32 წლის მეკარე ასი რაჰამიმია, უმცროსი კი 21 წლის თავდამსხმელი ომერ გოლანი, ვისაც აქამდე ნაკრებში ერთხელ უთამაშია. გრანტი თურმე რაჰამიმის წამოყვანას არ აპირებდა, თუმც ძირითადი მეკარის ელიმელიხის შემცვლელად ბოლოს მაინც ის შეარჩია.



ალენ ჟირესმა და გია გურულმა ებრაელები შეათვალიერეს

ფოტო: ალექსანდრე ბერიძის

— ჩვენ კარგად ვიცით საქართველოს ნაკრების შესაძლებლობები და ვეცდებით, შესაბამისი ტაქტიკით ვითამაშოთ. საქართველოს ბევრი ლეგიონერი ჰყავს, რომლებიც ევროპის ძლიერ კლუბებში თამაშობენ, კალაძისა და კობიაშვილის ხსენებაც საკმარისია. ვიცი, რომ მეტოქედ კარგი გუნდი გვყავს და ჩვენც კარგად თამაშს გპირდებით — თქვა აბრამ გრანტმა.

— უძლიერესი შემადგენლობით ვერ ჩამოსულხართ...

— დიახ, მაგრამ სწორედ ამ ნაკრებს მოუწევს მომავალ შესარჩევ ციკლში თამაში. მართალია, სამი ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ უძლიერესი შემადგენლობით თამაშს გუნდი, მით უმეტეს ნაკრები, იშვიათად ახერხებს. მწვრთნელი ამისთვის მზად უნდა იყოს. მეც ვფიქრობ, რომ დაშავებული ფეხბურთელების ღირსეული შემცვლელები შევარჩიე და თბილისში წამოვიყვანე.

გრანტი საუბრობდა, მის ირგვლივ კი რამდენიმე მკაცრი გამომეტყველების ებრაელი მიდი-მოდიოდა და თვალებს აცეცებდა.

ისრაელის ნაკრებს ყოველ გასვლით მატჩზე უშიშროების სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი დაჰყვება ხოლმე და გუნდის უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ისინი ნაკრებს თბილისში ადრეც ჩამოჰყვნენ. როგორც სტუმართა დელეგაციის ერთმა წევრმა გვითხრა, ახლა აგენტების რაოდენობა გასამმაგებულია და არავინ იცის, ზუსტად რამდენნი არიან. სტუმრის თქმით, საქართველოში მათ არაფრის ეშინიათ, თუმც ტერაქტისგან დაზღვეული არავინაა და სხვა ქვეყნებშიც ასეთივე გაძლიერებული დაცვის თანხლებით დავდივართო.

კოტა ინასარიძე

ებრაელთა ორი რასინგელი ლეგიონერი: იოსი ბენაიუნი და ომრი აფეკი

ფოტო: ალექსანდრე ბერიძის

ფოტო: ალექსანდრე ბერიძის

დღეს საქართველოს თასის ფინალია: „დინამო“—„ტორპედო“, ჩვენებური ელ კლასიკო. „დინამოს“ და „ტორპედოს“ შეხლას ეშხ-ლაზათი მაშინ მიეცა, როცა 2000 წელს ქუთათურებმა დედაქალაქელებს ჩემპიონობა წაართვეს. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და სადაც „დინამო“ და „ტორპედო“ გადაჰყრიან ერთმანეთს, სეირი ყველგან იყო.

ერთი სიტყვით, დღეს ერთმანეთს დაეჯახება საქართველოს ორი ყველაზე ტიტულოვანი, მაგრამ წლეულს საკმაოდ განბილებული გუნდი. „დინამო“ ხომ ისევე ვერ შესწვდა ჩემპიონობას, როგორც პარასკევს კატა ძეხვს, „ტორპედომ“ კი გაზაფხულზე ქვედა ექვსეულში იყურყუტა და ახლა სეზონის გასამართლებლად ორივეს თასიღა დარჩენია.

ერთიც, „დინამოს“ და „ტორპედოს“ თასის ფინალში ერთმანეთი აქამდე არ დაუჯიჯგნიათ.

დინამო თბილისი

სავარაუდო შემადგენლობა

21 კაკალაძე, 20 იაშვილი
10 ანჩაბაძე
6 კვირკველია, 9 ახალაია
27 ნემსაძე
15 კაშია, 5 შაშიაშვილი
3 კანდელაკი, 14 სილაგაძე
1 ზოიძე

მოტივაცია დიდია და ძალას არ დავზოგავთ მოსაგებად. ვთვლი, რომ თამაშამდე შანსები თანაბარია. „ტორპედო“ ღირსეული მოწინააღმდეგეა, თანაც სათასო გამოცდილებაც აქვს და, ბუნებრივია, მაქსიმალურად ეცდება წარმატებას. ვფიქრობ, საინტერესო, დაძაბული თამაში იქნება.

გია გეგუჩაძე

თბილისი
ლოკომოტივი
26 მაისი
20 საათი

ტორპედო

სავარაუდო შემადგენლობა

7 დავითაშვილი
6 ხუციშვილი
10 ბოლქვაძე
8 ბაბუნაშვილი, 13 ნერგაძე, 21 კოშკაძე
5 თოდუა, 3 მახვილაძე, 14 მემარნიშვილი
25 გამეზარდაშვილი
1 სტურუა

ბოლო ტურებში, ბუნებრივია, „დინამოს“ ვქომაგობდით, მაგრამ ეს ჩვენს საფინალო ამოცანას არ ცვლიდა. თუ ვერ გახდებოდა „დინამო“ ჩემპიონი, ჩვენ მაინც ბოლომდე უნდა გვებრძოლა. ფინალს სხვა ეშხი და ლაზათი აქვს და იქ გამარჯვება დიდი პატივია ნებისმიერი გუნდისთვის.



ოთარ გაბელია

ბოლო შანსი ორი ექსჩემპიონისთვის

გაბელია და გეგუჩაძე თანაბრად ლაპარაკობენ

საქართველოს თასის ყველა ფინალი

1990	გურია 1:0დ.დ. (0:0) ცსკუმი
1991–92	იბერია 3:1 ცსკუმი
1992–93	დინამო 4:2 ბათუმი
1993–94	დინამო 1:0 მეტალურგი
1994–95	დინამო 1:0 ბათუმი
1995–96	დინამო 1:0დ.დ. (0:0) ბათუმი
1996–97	დინამო 1:0 ბათუმი
1997–98	დინამო 1:2დ.დ. (1:1) ბათუმი
1998–99	ტორპედო 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) სამგურალი
1999–00	ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) ტორპედო
2000–01	ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 3:4) ტორპედო
2001–02	ლოკომოტივი 2:0 ტორპედო
2002–03	დინამო 3:1 სიონი

დღეს თასის ფინალია. პროფლიგელები გვპირდებიან, არნახულ დღესასწაულს მოვუწყობთ ფეხბურთის ქომაგსო. ბევრი სიურპრიზი და დიდი ზეიმი იქნებაო, თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე პროფლიგის პრესატაშემ პაატა ბურჯალიანმა. „ლოკომოტივზე“ ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა – ბურჯალიანთან ერთად ჟურნალისტების შეკითხვებს თასის ფინალისტების მწვრთნელებმა გია გეგუჩაძემ და ოთარ გაბელიამ უპასუხეს. ახალი ბევრიც არაფერი თქმულა, ტრადიციისამებრ, მწვრთნელები ბოლომდე ბრძოლას და გამარჯვებას დაგვპირდნენ

ოთარ გაბელია: სასტუმრო „მესაზღვრეში“ დავბინავდით. გუნდში საბრძოლო განწყობაა, ბიჭები მონდომებულნი არიან. საღამოს „ლოკომოტივზე“ გვსურდა ვარჯიში, მაგრამ არ გამოვიდა, ამიტომ საწვრთნელად „შევარდენი“ დაგვითმეს და დღეს ბოლო რეპეტიცია გვექნება.

— „ტოპერდოს“ თასის მოგების გარეშეც შეეძლო უეფაზე გასვლა, მაგრამ „დინამო“ ჩემპიონი ვერ გახდა...

— ბოლო ტურებში, ბუნებრივია, „დინამოს“ ვქომაგობდით, მაგრამ ეს ჩვენს საფინალო ამოცანას არ ცვლიდა. გახდებოდა თუ ვერ გახდებოდა „დინამო“ ჩემპიონი, ჩვენ მაინც ბოლომდე უნდა გვებრძოლა. ფინალი ფინალია, სხვა ეშხი და ლაზათი აქვს და იქ გამარჯვება დიდი პატივია ნებისმიერი გუნდისთვის.

— „ტორპედოს“ გამარჯვების რა შანსი აქვს?

— ასეთი თამაშის წინ შანსები თანაბარია, თუმც „დინამო“ ძნელი მეტოქეა. ამ შემთხვევაში კი ორმაგად სახიფათო, რაკილა თუ ვერ მოიგო, უტიტულოდ რჩება. ამიტომაც ვთვლი, რომ ძალიან გაგვიჭირდება მის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმც შევეცდებით, თავს არ დავზოგავთ და იმედი მაქვს, მოვიგებთ.

— ამბობენ, „ტორპედოში“ რთული ფინანსური ვითარებააო...

— მე მწვრთნელი ვარ და ჩემი საქმე სპორტულ შედეგებზე ფიქრია, თუმც ვიცი, რომ კლუბში საგანგაშო სიტუაცია ნამდვილად არა არის.

— ფინალის მოგებით გუნდი ფინანსურადაც თუა დაინტერესებული?

— ამ მხრივ განსაკუთრებული არაფერია. თუ მოვიგებთ, ჩემპიონატის მატჩებში გამარჯვებისთვის რომ ვიღებდით, იმ რაოდენობის პრემიალურ თანხას ავიღებთ.

გია გეგუჩაძე: განსხვავებულ პრემიას არც ჩვენ დაგვპირდნენ, თუმც ეს არაფერს ცვლის. მოტივაცია დიდია და ძალას არ დავზოგავთ მოსაგებად. მეც ვთვლი, რომ თამაშამდე შანსები თანაბარია. „ტორპედო“ ღირსეული მოწინააღმდეგეა, თანაც სათასო გამოცდილებაც აქვს და, ბუნებრივია, მაქსიმალურად ეცდება წარმატებას. ასე რომ, ვფიქრობ, საინტერესო, დაძაბული თამაში იქნება.

— ტვინის შერყევა ჰქონდა ჯაბა კანკავას, ტრავმა აწუხებდა ლადო ბურდულს. შეძლებენ ისინი ფინალში თამაშს?

— კანკავა და ბურდული ჯერაც არ მომჯობინებულან და მზად არ არიან სათამაშოდ, ასე რომ, მათ გარეშე მოგვიწევს „ტორპედოს“ დამარცხება.

პაატა ბურჯალიანი: ეს ფინალი ყველა წინა ფინალზე უკეთესი იქნება. იმედი მაქვს, ქომაგი საინტერესო თამაშს ნახავს, ჩვენი მხრიდან კი სიურპრიზები არ მოაკლდება გულშემატკივარს, იქნება ბევრი საჩუქარი პროფლიგის სპონსორთა მხარდაჭერით და ვფიქრობთ, ლამაზი საფეხბურთო საღამო გამოვა.

პაატა ქვანტალიანი

დინამო

2004. გზა ფინალამდე
მეთექვსმეტედფინალი
დინამო 3:0 ვიტ ჯორჯია-მცხეთა
ვიტ ჯორჯია-მცხეთა 1:3 *დინამო*
მერვედფინალი
დინამო 6:0 სამგურალი
სამგურალი 3:1 *დინამო*
მეოთხედფინალი
დინამო 2:0 ბათუმი
ბათუმი 1:4 *დინამო*
ნახევარფინალი
დინამო 1:0 დილა
დილა 0:1 *დინამო*
სულ: 8 თამაში, 7 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება; ბურთები: 21:5

დავით ყიფიანის თასი

ფინალი

თბილისი. 26 მაისი

ლოჯომოტივი. 20 საათი

ტორპედო

2004. გზა ფინალამდე
მეთექვსმეტედფინალი
ტორპედო 5:0 გურია
გურია 1:2 *ტორპედო*
მერვედფინალი
ტორპედო 0:0 სიონი
სიონი 2:3 *ტორპედო*
მეოთხედფინალი
ძობულეთი 0:5 ტორპედო
ტორპედო 5:1 ძობულეთი
ნახევარფინალი
ტორპედო 2:0 სპარტაკი
სპარტაკი 0:0 *ტორპედო*
სულ: 8 თამაში, 6 მოგება, 2 ფრე, 0 წაგება; ბურთები: 22:4

გადამწყვეტ, კრიტიკულ მომენტში მატჩის ბედს ცალკეული ფეხბურთელები წყვეტენ, განსაკუთრებული უნარი რომ აქვთ, თამაშში გარდატეხა შეიტანონ. ეს დინამოელ გიორგი ანჩაბაძეს შეუძლია გამოზომილი, უზუსტესი და ლამაზი პასებით, ხოლო ტორპედოელი სულიკო დავითაშვილი ცაციას ხანდახან პარაბელუმივით ხმარობს და ბურთებს მზაკვრულად უშენს მეტოქეთა კარს. დღეს „დინამო“ — „ტორპედოა“, საქართველოს თასის ფინალი და ანჩაბაძე-დავითაშვილსაც ამად გავესაუბრეთ

ტორპედოს თბილისელებიც ქომაგოზენ

55/45 თუ მსაჯები არ გაგვწირავენ

ვშარან დოლიძეანშვილის ფოტო

სულიკო დავითაშვილი: მთლად ჯანმრთელად ვერ ვარ, ქუსლი მაწუხებს, მაგრამ ექიმების დახმარებით ალბათ ვითამაშებ.

— ქვედაექვსეულის „ტორპედოსთვის“ რამდენად შესაძლებელია „დინამოს“ დამარცხება?

— „დინამოს“ დამარცხება „ტორპედოსთვის“ შეუძლებელი სულაც არაა. ჩვენ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს — უნდა მოვიგოთ.

— რას ნიშნავს, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი გაქვთ?

— თუ ვერ მოვიგებთ, მთელ სეზონში გაწეული შრომა წყალში ჩაგვეყრება.

— როგორ ფიქრობ, „დინამოს“ რა უპირატესობა აქვს „ტორპედოსთან“?

— „დინამო“ მაინც „დინამოა“, ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, მაგრამ ისიცაა, რომ ამ სეზონში „დინამოს“ მაგარი ჩავარდნები ჰქონდა, შანსებს 55/45-ზე ვაფასებ „დინამოს“ სასარგებლოდ, ფავორიტი უფრო მაინც „დინამოა“.

— ამას იმის გათვალისწინებითაც ამბობ, რომ „დინამოს“ „ტორპედოზე“ უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს?

— არა, „ტორპედოში“ „დინამოზე“ ნაკლები ფეხბურთელები არ თამაშობენ. მიმაჩნია, რომ საქართველოში ფეხბურთელთა დონე თანაბარია, სხვებისგან ძალიან გამორჩეული ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონატში არ არიან.

— მაგრამ თქვი, ფავორიტი მაინც უფრო „დინამოა“...

— ჰო, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ ამ სეზონში ბოლნისში „სიონის“ დამარცხება მხოლოდ „ტორპედომ“ შეძლო — თასის მერვედფინალში ბოლნისელებს 3:2 მოვუგეთ.

— ჩემპიონატის დასრულებას „ოქროს მატჩი“ უკლია და ბომბარდირთა დავას ლიდერობ, თუმცა, 26 წლის ხარ და ჯერ „დინამოსთვის“ გოლი ერთხელც არ გაგიტანია...

— „დინამო“ ჩემთვის მართლაც უხერხული გუნდია. უმაღლესი ლიგის ყველა სხვა გუნდისთვის გამიტანია „დინამოს“ გარდა. იქნებ, ამ თასის ფინალში შევწყვიტო ეს წარუმატებელი სერია.

— თასის ფინალში გულშემატკივრის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვნად მიგაჩნია?

— ქუთაისიდან ალბათ წამოვლენ „ტორპედოს“ საქომაგოდ, მაგრამ „ტორპედოში“ ცხრა თბილისელი ვთამაშობთ და გულშემატკივრები თბილისიდანაც საკმაოდ გვეყოლება.

— კიდევ რომელ ფაქტორზე გამამხვილებდი ყურადღებას?

— მსაჯებს ვთხოვ, ობიექტურად იმსაჯონ. სამართლიანი მსაჯობის შემთხვევაში ორივე გუნდს გამარჯვების თითქმის თანაბარი შანსი ექნება.

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯიელაძის ფოტო

თასიც თუ დავკარგეთ და...



ბადრი ჯიელაძის ფოტო

გიორგი ანჩაბაძე: თითოეული დინამოელი კარგად გრძნობს, რომ თასის ფინალი ჩვენთვის ბოლო შანსია და იგი უნდა გამოვიყენოთ. თასიც თუ ვერ მოვიგეთ, ალბათ კატასტროფა იქნება.

— სეზონის ბოლოა და ალბათ გადაღლილობასაც გრძნობთ...

— ახლა ისეთი მომენტია, რომ გადაღლილობაზე ნაკლებად ვფიქრობთ. ერთი თამაში დარჩა და რა დროს წუწუნია. თასს რომ ავწევ, მერე მივხვდები, როგორი დამღლელი სეზონი გვქონდა.

— შენთვის როგორი იყო ეს სეზონი?

— ჩემპიონები ვერ გავხდით და ამიტომ ვერც სეზონს შევაფასებდი დადებითად. ეტყობა, ზოგ მატჩში რაღაც დავკელით. კმაყოფილი მხოლოდ იმით ვარ, რომ ტრავმებს არ გავუტანჯივარ.

— ფინალურ მატჩში მეტოქედ გერგოთ „ტორპედო“, რომელსაც დღესდღეობით საუკეთესო პერიოდი არ უდგას...

— მართალია, „ტორპედო“ ზეექვსეულში ვერ მოხვდა, მაგრამ ამ გუნდის ჩამოწერა არ შეიძლება. „ტორპედოს“ ჩავარდნა შემთხვევითობის ამბავია და, ვფიქრობ, ის თავის ადგილს ისევ დაიბრუნებს. თანაც ფინალი ერთი მატჩია და საამისოდ კონცენტრირება და მაღალ დონეზე თამაში ნებისმიერ კლუბს შეუძლია.

— „ტორპედოს“ ძლიერ მხარეზე რას იტყვი?

— ქუთაისელებმა, ფაქტობრივად, უცვლელად შეინარჩუნეს დაცვის ხაზი. ბოლო წლებია, მათი დაცვა ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ახალი ფეხბურთელებითაც გაძლიერდნენ, რომლებიც, კარგად მოერგნენ ტაქტიკურ მონახაზს. „ტორპედო“ ნებისმიერ მდგომარეობაში ანგარიშგასაწევ მეტოქედ და ქართული ფეხბურთის გრანდად დარჩება.

— რის ხარჯზე უნდა მოახერხოს „დინამომ“ მეტოქის დამარცხება?

— მონდომება და მოტივაცია არც ერთ გუნდს რომ არ აკლია, ფაქტია. „ტორპედოს“, როგორც ვთქვი, ვაფასებ, მაგრამ წლეულს ჩვენმა კლასმა უნდა გაგვამარჯვებინოს.

— თასის ფინალს კიდევ ერთი თავისებურება ექნება: ორიდან ერთი საუკეთესო ქართული კლუბი უეფას თასის მიღმაც რჩება...

— ბუნებრივია, ჩვენთვის ესეც დამატებითი ფსიქოლოგიური დატვირთვა იქნება. ჩემპიონობა ვერ შევინარჩუნეთ, თასიც თუ დავკარგეთ და ევროსაგზურსაც დავემშვიდობეთ, ამაზე ცუდი რა შეიძლება მოხდეს?! ამიტომაც ვამბობ, რომ სათამაშოდ უაღრესად მობილიზებულები გავალთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სეზონი მაჟორულ ნოტაზე დავასრულოთ.

დავით ერაძე

ვიტ ჯორჯია თუ სიონი?

ეროვნულ ჩემპიონატში ერთი, მაგრამ როგორი — ოქროს მატჩი-ლა დარჩა გასამართი: „ვიტ ჯორჯია“ — „სიონი“ და საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება. „ვიტ ჯორჯია“ ამ მიზნისკენ შვიდი წელია, მიდის და ზოგჯერ მიზნამდე ხელის განვდენალა დარჩენია. „სიონი“ კი თავისი ფანებით და სტაბილურობით კარგა ხანია, ჩვენი ჩემპიონატის კოლორიტად იქცა. ჰოდა, სამართლიანიცაა, რომ ჩემპიონის ვინაობას სწორედ ამ გუნდების „ერთი ერთზე“ შეყრა გაარკვევს.

კაპიტნები ოქროს მატჩზე... ვიტ-ჯორჯიელი ლაშა ნოზაძე და სიონელი იური გაბისკირია...





ლაშა ნოზაძე: „ლოკომოტივთან“ მატჩი დაძაბულობით უგამორჩეულესი იყო. წაგების შემთხვევაში სეზონს ჩავაგდებდით, მოგებით კი საჩემპიონო შანსი გვეძლეოდა. ამიტომ თამაშში ყველაფერი ჩავდეთ და თუ რამე არ გამოდიოდა, ეს მხოლოდ ნერვიულობის ბრალია იყო.

— „ლოკომოტივთან“ როდის იყო გარდამტეხი მომენტი?

— პირველ ტაიმში თამაში ჩვენებურად ვერ ავაწყვეთ და ამის გამო უფრო ვნერვიულობდით. გარდატეხა კი მაინც მერლანის აღებული ბურთის შემდეგ მოხდა. ვირწმუნეთ, რომ ამის მერე მაინც გაგვიმართლებდა და ასეც მოხდა. რომ ვთქვა, „ლოკომოტივისგან“ ასეთ წინააღმდეგობას არ ველოდით-მეთქი, მართალი არ იქნება, თანაც კონკურენტებისაგან მათ ფინანსურ წახალისებას არ გამოვრიცხავდით.

— ამ შეხვედრაში თითქოს გადაღლილებიც ჩანდით...

— ისე მოხდა, რომ ბოლოს ერთიმეორეზე მნიშვნელოვანი თამაშები მიეწყო „თბილისთან“, „დილასთან“ და „დინამოსთან“. ასეთი დატვირთული რეჟიმი, ბუნებრივია, ფსიქო-ფიზიკურ კონდიციებზეც მოახდენდა გავლენას. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ.

— „სიონზე“ რას იტყვი?

— ბოლნისელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ. ჩემპიონატის მეორე ეტაპი სტაბილურად ჩაატარეს. მართალია, „სიონი“ უფრო სახლის გუნდად ითვლება, მაგრამ როდესაც სტუმრად მოგება დასჭირდათ, ესეც შეძლეს. „სიონის“ რამდენიმე ფეხბურთელს ნაკრებშიც უთამაშია.

— არც ის ფაქტი გაშინებთ, რომ ბოლნისელებს საკმაოდ ემოციური გულშემატკივრები ჰყავთ?

— ვინ თქვა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მათზე ნაკლები ფანობა ეყოლება?! მგონი, ეს თამაში ყველაზე ხალხმრავალი იქნება ბოლო წლებში. შევეცდებით, გულშემატკივარს სანახაობრივი და ლაღი ფეხბურთი ვაჩვენოთ. ამ მატჩში უდიდესი მნიშვნელობა ექნება იღბალს და ობიექტურ მსაჯობას.

— ჩემპიონობის შემთხვევაში „ვიტ ჯორჯია“ შეინარჩუნებს ძირითადის ბირთვს?

— „ვიტ ჯორჯიას“ ბედი ასეთია, ორი-სამი ფეხბურთელი ყოველთვის ტოვებდა კლუბს, მაგრამ ძალა არასოდეს დაგვიკარგავს.

იური გაბისკირია: ჩვენი წარმატების საფუძველი ერთობაა. ასე შეკრული „სიონი“ დიდი ხანია, არ მინახავს. რა თქმა უნდა, გულშემატკივრების დავიწყებაც არ შეიძლება. მათ გარეშე წარმატების მიღწევა გაგვიჭირდებოდა.

— სეზონი თქვენთვის თავიდან არცთუ წარმატებული ჩანდა და მწვრთნელიც შეგეცვალათ...

— გუნდის წინსვლა თემურ მახარაძის მოსვლით დაიწყო. მას სამი-ოთხი ახალი ფეხბურთელიც მოჰყვა, მაგრამ სეზონის განახლებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა... არ იკითხავ, სად გვქონდა რვადღიანი შეკრება? — დიდუბის მანეჟში. ასე ხომ სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი გამორიცხული იყო. ამიტომაც აქცენტი თასზე გავაკეთეთ.

— მაგრამ „ტორპედოსთან“ ფეხი დაგიცდათ...

— „ტორპედოსთან“ წაგებას ნაღდად არ ველოდით. პირიქით, გვეგონა, იოლად დავამარცხებდით. მეტოქის შეუფასებლობა ძვირად დაგვიჯდა. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ჩვენც ასე დაგვემართა. „ტორპედოსთან“ მარცხის შემდეგ დავსხედით, ვილაპარაკეთ და ვთქვით, ახლა ევროპაში გასასვლელად მეორე ადგილზე გასვლა გვჭირდებაო. ჩემპიონობაზე მაშინაც არ გვიფიქრია.

— როდის ირწმუნეთ, რომ არც ჩემპიონობა იქნებოდა მიუწვდომელი?

— თბილისში „ვიტ ჯორჯიასთან“ ფრედ რომ ვითამაშეთ. ამ შეხვედრას წარმატებული სერია და „დინამოს“ დამარცხება მივაყოლეთ. ცხადი იყო, ჩვენი თამაში ვიპოვეთ. თანაც კონკურენტებმა ქულები დაკარგეს...

— მეორე ეტაპის დაწყებამდე რომელ გუნდს მიიჩნევდით ჩემპიონატის ფავორიტად?

— თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველ ადგილზე „დინამო“ გავიდოდა, მეორეზე „ვიტ ჯორჯია“, მესამეზე „თბილისი“, მეოთხე „ლოკომოტივის“ იქნებოდა და ჩვენ მეხუთე ადგილს დავჯერდებოდით. ვარდების რევოლუციამ ჩვენს კლუბზეც იქონია გავლენა. თუმცა შემდეგ გუნდში ბესო უგულავა მოვიდა და მისი ძალისხმევით „სიონს“ პირობები გაუუმჯობესდა. პრემიებსაც და ხელფასებსაც დროულად ვიღებთ. ბოლნისის გამგებელი ზვიად ვეშაპიძეც საკმაოდ აზარტული კაცია და, მოკლედ, ახლა ასეა: ბოლნისი „სიონისთვის“, „სიონი“ ბოლნისისთვის.

— როგორ შეაფასებ „ვიტ ჯორჯიას“?

— „ვიტ ჯორჯიას“ უდიდეს პატივს ვცემ. ამდენი წელია, ეს გუნდი ჩემპიონობისკენ მიდის და სულ ცოტა აკლდება. უბრალოდ, არ უმართლებდა. როგორც ჩანს, ახლა ისინიც საუკეთესო ფორმაში არიან. მგონი, სამართლიანია, რომ ჩემპიონის ვინაობა სწორედ ჩვენს შორის გაირკვევა. შანსები კი სამოცი ორმოცზეა „ვიტ ჯორჯიას“ სასარგებლოდ.

— ალბათ მხარდამჭერებიც ბლომად გეყოლებათ...

— გულშემატკივრებში ეჭვიც არ გვეპარება. „თბილისთან“ მატჩისას დიდი ტელევიზორი დაუდგამთ ბოლნისის სტადიონზე, მთელი ქალაქი იქ შეკრებილა, იქიდან გვქომაგობდნენ და გადამწყვეტ თამაშზე არ გაგვამხნევებენ?! ბოლნისის გარდა, მგონი, საქართველოს საკმაოდ დიდი ნაწილიც ჩვენს მხარეზეა. მარტო ის რად ღირს, რომ „სიონში“ აფხაზეთიდან ლტოლვილი ოთხი ფეხბურთელი თამაშობს. ვფიქრობ, ამის გამოც ბევრი მხარდამჭერი გვეყოლება.

— იური გაბისკირია კარიერის დასრულებას საქართველოს ჩემპიონის რანგში ხომ არ აპირებს?

— ჩემპიონობა რომ ძალიან მინდა, ეს ცხადია, კარიერის დასრულებას კი ჯერ არ ვჩქარობ. ამის დრო რომ მოვა, თავადაც მივხვდები. არავის დავასტვენინებ ტრიბუნიდან.

დავით ერაძე

საჩემპიონო ოქრო ეროვნულზე აიწონება

„ვიტ ჯორჯია“ ან „სიონი“ ოქროში 30 მაისს ამოივლებს თავს — მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული კვირას უნდა გაიწუწოს შამპანურით.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის პროფესიულ ლიგაში „სიონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან ერთად გადაწყდა, რომ „ოქროს მატჩი“ 30 მაისს გაიმართება ეროვნულ სტადიონზე და შეხვედრა 17 საათზე დაიწყება.

გვიშველეთ, შმაღლესში ვართ!

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან გავარდნილთა ვინაობა კარგა ხანია გარკვეულია. ახალი სეზონიდან „მერცხალს“ და „სპარტაკს“ შეცვლიან პირველ ლიგაში გამარჯვებულები, „ქობულეთი“ და წყალტუბოს „სამგურალი“. „სამგურალის“ მთავარმა მწვრთნელმა გია გიგატაძემ ბოლო სამ სეზონში მეორედ შეძლო გუნდის უმაღლეს ლიგაში გადაყვანა. „სამგურალის“ თავკაცთან საუბარი სეზონის შეფასებით დავიწყეთ...



— ძალიან რთული სეზონი იყო. ბოლო ტურებამდე არაერთ გუნდს შეეძლო როგორც პირველობა, ისე გავარდნა. საბოლოოდ ჩვენ გაგვიმართლა. ალბათ ღმერთმაც გადმოგვხედა და უმაღლესი ლიგის საგზური მოვიპოვეთ.

— თქვენთვის გადამწყვეტი რომელი თამაში იყო?

— რა თქმა უნდა, შინ „რუსთაველთან“, რომელიც კუდში მოგვდევდა და ბოლო წუთზე მოვუგეთ. ასევე ბოლო წუთზე გავიმარჯვეთ ბათუმში, ცხინვალში მოგებაც არ იყო ადვილი, თსუ-სთან და „ჩიხურასთან“ აღებული ქულებიც ძალიან წაგვადგა.

— ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი კი გაუშვით, მაგრამ ძალზე ცოტაც გაიტანეთ. ეს თავდასხმის სუსტ თამაშზე მიუთითებს.

— წინა ხაზი მართლაც მოიკოჭლებს, ეს ალბათ იმის ბრალია, რომ თავდასხმაში შედარებით გამოუცდელი ფეხბურთელები თამაშობენ.

— როგორც ვიცი, კლუბში ფინანსურად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა.

— „სამგურალი“ ყოველთვის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ასე იყო პირველ წრეშიც, მაგრამ იანვრიდან ახალ ბიუჯეტში არ ჩაგვსვეს და ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდით. ხელფასებიც გაჭირვებით ეძლევათ ფეხბურთელებს. კუთვნილი თანხა მწვრთნელებსაც არ აგვიღია. ბუნებრივია, პრემიებსაც ვერ ვიღებთ. გუნდს შეკრებას რომ ვერ გაუკეთებ, მერე რა უნდა მოსთხოვო?!

— ახალ სეზონში რას აპირებთ?

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ სასიკეთოდ შეიცვლება სიტუაცია. ალბათ ორ კვირაში შევიტყობთ, რა გველის. თუ ასეთი პირობები იქნა, უმაღლეს ლიგაში თამაშს აზრი არ აქვს. სხვა თუ არაფერი, ფეხბურთელი ხომ უნდა მოიყვანო, უფულო გუნდში კი არავინ წამოვა. თუ ყველაფერი ძველებურად იქნა, მე პირადად იძულებული ვიქნები, გუნდიდან წავიდე.

— ბევრი ვარაუდობს, რომ შეიძლება გუნდმა საუმაღლესო ადგილი გაყიდოს, ისე, როგორც ეს შარშან „ლაზიკამ“ გააკეთა...

— მეც ჭორის დონეზე გავიგე ეს. ერთი რამ ცხადია: ჩემპიონატში თერთმეტი გუნდი ვერ ითამაშებს. თორმეტი უნდა იყოს და წყალტუბომ თუ ვერ შეძლო გუნდის შენახვა, ვინმეს ათამაშებენ. ადგილის გაყიდვა კი ჩემი საქმე არ არის, ამას კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

— ჩემპიონატის ჩატარების სისტემაზე რას იტყვით?

— ჩვენნაირი გაჭირვებული გუნდებისთვის, ალბათ, თექვსმეტგუნდიანი პირველობა უფრო მისაღები უნდა იყოს.

გია ამირანაშვილი

ჩიხურა 3:2 გურია

ქობულეთი 2:1 ცხინვალი

მეტალურგი 0:2 ოლიმპი

ლოკომოტივი 2 1:3 სამგურალი

რუსთავი 2:1 დინამო 2

თსუ 5:1 ივერია

მილანი 2:1 ვიტ ჯორჯია მცხ.

ამერი 3:0 ლუკა

„ლუკა“ არ გამოცხადდა

საბოლოო ცხრილი

ქობულეთი	30	19	4	7	54:28	61
სამგურალი	30	17	7	6	39:19	58
მილანი	30	15	7	8	38:26	52
რუსთავი	30	16	3	11	46:31	51
ჩიხურა	30	15	5	10	41:29	50
დინამო 2	30	15	5	10	68:36	50
ოლიმპი	30	14	8	8	38:31	50
თსუ	30	13	8	9	59:30	47
ცხინვალი	30	13	7	10	45:25	46
გურია	30	13	6	11	38:37	45
ვიტ ჯორჯია-მცხ.	30	12	8	10	31:22	44
ამერი	30	12	7	11	34:24	43
ივერია	30	11	6	13	29:42	39
ლოკომოტივი 2	30	6	1	23	22:77	19
ლუკა	30	5	1	24	29:85	16
მეტალურგი	30	2	1	27	18:87	7

„ენფილდის“ მინდორი ულიესთვის მშობლიურია, ლივერპულელი ქომაგებისთვის კი ულიე შინაურ კაცად დარჩება

ჟერარ ულიე: ცხოვრება, ეს წვრილმანებია

მელვუდის ბუნკერში ლოთს ვეღარ ნახავთ

ჟერარ ულიე აღარ არის „ლივერპულის“ მენეჯერი. ის კვლავაც „ლივერპულის“ გულშემატკივარია. ის კაცია, ვინც ოცდაათზე მეტი წლის წინათ ლივერპულში ფრაწგულს ასწავლიდა, ბილ შენკლის „ლივერპულის“ თამაში ნახა და თქვა, ამ გუნდის მწვრთნელი უნდა გავხდეო.

ულიე ექვს წელიწადს იყო თავისი საყვარელი გუნდის მწვრთნელი, ახლა კი უმუშევარია.

„მე არავის შევწინააღმდეგებივარ — ამბობს ის — ვიგრძენი უეცარი და მძაფრი დაწოლა კლუბის საბჭოსგან. ჩემი წინააღმდეგობა ზიანს მოუტანდა ფეხბურთელებს და საგაისო განწყობას. ყოველთვის ვამბობდი, ჯერ კლუბის ინტერესები. აქ ჩემთვის კი არ ვიყავი, არამედ, კლუბისთვის. „ლივერპული“ ექვს წელიწადს ბედნიერებას მიძღვნიდა. ბიჭებთან საუცხოო ურთიერთობა მაქვს. ყველამ იცის, ჩემს ხელში „ლივერპულში“ მენტალიტეტიც კი შეიცვალა. მინდორსა და მის გარეთ ბიჭები შეიცვალნენ. კლუბი ფრთხილად უნდა იყოს, ახლა აქ დიდი ფული მოდის ტაილანდიდან, მაგრამ საქმის მართვა არ გაიოლდება“.

ჟერარ ულიემ ჩემპიონობამდე ვერ მიიყვანა „ლივერპული“, მაგრამ მისი კვალი კიდევ კარგახანს იქნება ამ კლუბში. თუნდაც მელვუდის საწვრთნელ ბაზაზე, სადაც თითქოს ყველაფერს მისი ნიშანი ადევს.

ულიე ისე მოექცა ამ ბაზას, თითქოს ფიქრობდა, რომ მისი წასვლის შემდეგ მის ძეგლად დარჩენილიყო. ძველი მელვუდის ხელახლა გაწყობაში მან პირადად მიიღო მონაწილეობა და არქიტექტორებსა და დიზაინერებს თავისი ფანქრით ჩაუსწორა ყველაფერი. ძველ მელვუდს ულიე ხუმრობით „ბუნკერს“ უწოდებდა. მელვუდი ძველ სამხედრო ჰაუპტვახტს ჰგავდა, ახლა ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ბაზაა. ამ ბაზის რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ გრემ სუნესმა დაიწყო, თუმცა ულიემ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. ფანჯრების ადგილებიც კი მან მონიშნა და გასახდელებიც მისი გეგმით მოეწყო.

მინდვრები ვარჯიშისთვის, მინდვრები ტაქტიკისთვის: ულიეს მოგონილი და მოწყობილი ბაზა ძალიან გამოადგება მის მემკვიდრეს.

ულიე 1998 წელს მივიდა „ლივერპულში“ და თანამენეჯერად დაინიშნა როი ევანსის გვერდით. როი, ლივერპულელი, კლუბის შვილი, განთქმული ბუცების ოთახს ბიჭობიდანვე შეჩვეული კაცი იყო. ულიე — უცხოელი საფეხბურთო ფილოსოფოსი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა საფრანგეთის ნაკრები, კულტურული შეფასების მრდაუტანელი იყო და ევანსს ულიე ამჯობინეს.

ფრანგმა მოსპო „ლივერპულის“ ფეხბურთელებში ლოთობის საუკუნოვანი კულტურა და ფრანგულივე სიბრძნე შეათვისებინა მერსისაიდელ ბიჭებს: ცხოვრება, ეს წვრილმანებია.

ულიემ გარეუბნული ვილა კი არ აირჩია საცხოვრებლად მის საყვარელ ქალაქში, არამედ, ჩვეულებრივი ბინა ცენტრში. მას ყოველდღე ხედავდნენ და ხვდებოდნენ ფანები და მას ეს მოსწონდა. ის გულიანად ისმენდა მათ აზრებს. ულიემ იცოდა, რომ კლუბის ლეგენდებს არ მოსწონდათ მისი რეფორმები და ქცევები. ისინი ამბობდნენ, რომ ფრანგს არაფერი ესმის „ლივერპულის“ ისტორიისა და სულისა, ანადგურებს იმას, რაც ქალაქის ყოფიდან ამოიზარდა. მაგრამ ულიე მათ აზრს არ ითვალისწინებდა, ის თანამედროვე „ლივერპულს“ ქმნიდა, რომელიც, სამწუხაროდ ვერ გახდა ჩემპიონი.

ამიტომ „ბუნკერი“ ახლა სხვის ხელში გადავა.

ირაკლი გამყრელიძე

ვალტერ სამუელი პირველი მცველია, ფლორენტინო პერესმა „რეალს“ რომ უყიდა

ფლორენტინოს კედელი

სამეფო ჯარის ახალი მცველი

იტალიური „რომას“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი, არგენტინელი ვალტერ სამუელი ამიერიდან ფლორენტინო პერესის მადრიდის „რეალის“ ღირსებას დაიცავს. პერესს თავისი პრეზიდენტობის ჟამს აქამდე სამეფო გუნდში მხოლოდ მოიერიშეები მიჰყავდა, ახლა კი, „რეალის“ ძნელბედობის გამო „ბერნაბეუზე“ ოკენისგაღმელი მცველი, მეტსახელად „ილ მურო“ (კედელი) მიიწვია. სამუელი იმედიანადაა განწყობილი და სამომავლოდ დიდ ჯილდოებზე ფიქრობს. არგენტინელ მცველს მადრიდული „ასი“ ესაუბრა

— „რეალში“ სამედიცინო შემოწმება რატომ არ გაიარეთ?

— კლუბმა გადაწყვიტა, რომ ასე უკეთესი იქნებოდა. შემოწმებას ივლისში გავივლი, ჯერჯერობით ეს საჩქარო არ არის.

— „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თქვენი და ახალი მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს მისვლა ერთ დღეს მოხდა. სამეფო გუნდის დამრიგებელს კარგად იცნობთ?

— ვიცი, რომ ესპანეთის ნაკრებს წვრთნიდა, თუმც პირადად არ ვიცნობ.

— საკუთარ სათამაშო სტილს როგორ დაახასიათებდით?

— გამიჭირდება ამის გაკეთება, ჩემი დახასიათება უფრო სხვამ უნდა სცადოს. ჩემი მოვალეობა დაცვაში საიმედო თამაშია, რასაც ალბათ ვახერხებ კიდეც. არასოდეს ვრისკავ და მხოლოდ გუნდის გამარჯვებაზე ვფიქრობ. ვცდილობ, მოედანზე მარტივად და შედეგიანად ვიმოქმედო, თან თანაგუნდელებსაც დავეხმარო. შეტევებში იშვიათად ვერთვები, უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ვზრუნავ.

— იტალიაში IL MURO შეგარქვეს, რაც კედელს ნიშნავს. ხომ ვერ გვეტყვით, ასე რატომ გეძახიან?

— ჯიუტი ხასიათისა და, რა თქმა უნდა, სათამაშო სტილის გამო.

— იცით, რომ თქვენ პირველი მცველი ხართ, ფლორენტინო პერესმა თავისი პრეზიდენტობისას რომ შეიძინა?

— დიახ, ეს ვიცოდი და ამ ტრანსფერით ძალიან ვამაყობ. ვეცდები, გუნდის ხელმძღვანელობის იმედები გავამართლო. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის „რეალში“ თამაში თავის გამოჩენის უდიდესი შანსია და მე მის დაკარგვას რ ვაპირებ. ძალიან მეწყინება, თუ „ბერნაბეუზე“ ჩემს საქმეს კარგად ვერ გავაკეთებ.

— ბევრი სპეციალისტი ვალტერ სამუელზე ისე ლაპარაკობს, როგორც მსოფლიოს საუკეთესო მცველზე...

— ახლანდელ ფეხბურთში ძნელია, რომელიმე მოთამაშეს მსოფლიოს საუკეთესო უწოდო. მართალია, „რომაში“ გოლებს ნაკლებად ვუშვებდით, მაგრამ ეს მარტო ჩემი კი არა, დაცვის ერთობლივი ქმედების შედეგი იყო. „რეალში“ განსხვავებული ვითარება იქნება. აქ ძირითადად აქცენტი თავდასხმაზეა გადატანილი, თუმცა რიგიანი დაცვის გარეშე წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება.

— თქვენთვის მადრიდის „რეალში“ მოხვედრა კარიერის მწვერვალია?

— გეთანხმებით, ამაზე ზევით მე ვერაფერს ვხედავ. „რეალში“ და ქვეყნის ნაკრებში ბურთაობა ჩემთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. მინდა, თანაგუნდელებთან ერთად დიდი ჯილდოებით გავიხარო.

— ურჩევთ ფლორენტინო პერესს, რომ გუნდში აიალაც მოიყვანოს?

— კარგი კი იქნებოდა აიალას მხარდამხარ თამაში. არგენტინის ნაკრებში მის გვერდით უფრო დამაჯერებლად ვგრძნობ თავს.

— თქვენი მომავალი თანაგუნდელებიდან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?

— რონალდო. ის მატჩების ბედს ხშირად თავად წყვეტს. თამაშში იშვიათად ერთვება, მაგრამ როდესაც ბურთთან მიდის, თავის შანსს ასი პროცენტით იყენებს და „ბერნაბეუს“ მის გამო გოლები არ აკლია. აი, მე კი ზუსტად საპირისპიროს გავაკეთებ, ანუ ვეცდები, მეტოქის ფორვარდებმა ჩვენს საჯარიმოში ვერ იხეირონ...

ნორვეგია

სუპერლიგა. VIII ტური

მიოლდე 1:1 ვოლერენგა

ტრომსიო	8	5	1	2	16:8	16
ოდ გრენლანდი	8	4	3	1	15:9	15
ჰამ კამი	8	4	3	1	9:6	15
ვოლერენგა	8	3	5	0	9:6	14
ლინი	8	3	3	2	7:5	12
რუსენბორგი	8	3	3	2	10:10	12
ბრანი	8	3	1	4	11:9	10
ბოდიო გლიმტი	8	3	1	4	10:12	10
სტაბეკი	8	3	1	4	10:13	10
ლილესტრიომი	8	2	3	3	10:10	9
მოლდე	8	2	3	3	9:10	9
ვიკინგი	8	1	5	2	6:9	8
სოგნდალი	8	1	2	5	9:15	5
ფრედრიკსტადი	8	1	2	5	10:19	5

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. V ტური

ჰიკ 1:1 ტპ-47

ტურკუ	5	3	1	1	9:4	10
ალიანსი	5	3	0	2	7:4	9
ჰაკა	5	2	2	1	5:2	8
კტპ	5	2	2	1	7:6	8
მიუპა	5	2	2	1	7:6	8
ჰიკ	5	1	4	0	9:6	7
ჯაზი	5	2	1	2	12:10	7
ინტერი	5	2	1	2	5:5	7
ტამპერე	4	2	1	1	3:3	7
ტპ 47	5	1	3	1	5:5	6
ლაჰტი	5	0	4	1	5:7	4
იარო	5	1	1	3	5:10	4
ჰამენლინა	5	1	1	3	6:12	4
როვანიემი	4	0	1	3	3:8	1

შვედეთი

ალსვენსკა. IX ტური

იურგორდენი 2:1 იორგრიტე
ელფსბორგი 3:0 იორეგრო
ჰელსინგბორგი 0:2 მალმიო
გიოტებორგი 0:1 ჰამარბი

ჰალმსტადი	9	7	1	1	22:9	22
ჰამარბი	10	6	2	2	10:6	20
კალმარი	9	5	2	2	13:8	17
მალმიო	9	4	4	1	15:5	16
გიოტებორგი	9	4	2	3	9:6	14
სუნდსვალი	10	3	4	3	10:10	13
იურგორდენი	9	3	3	3	12:13	12
იორგრიტე	9	2	4	3	9:12	10
იორებრო	9	3	1	5	12:21	10
ტრელებორგი	9	2	3	4	7:10	9
აიკ	9	2	3	4	5:9	9
ლანდსკრონა	9	2	2	5	10:14	8
ჰელსინგბორგი	9	1	4	4	13:15	7
ელფსბორგი	9	1	3	5	6:15	6

მაკედონია

თასის ფინალი

ნაპრედოკი 1:0 სლოგა

1:0 ა. ბექირი (50)

ამხანაგური მატჩი

ეგვიპტე 2:0 ზიმბაბვე

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

იყიდება!
პერსონალური კომპიუტერები
პენტიუმ 1 (200 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 64 MB,
HDD — 1,2 GB, ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15”
ფასი — 100 $
პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 2,0 GB, ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15”
ფასი — 100 $
ტელეფონი: 39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო-2004. A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი

სოფო სტურუა

განრიგი

12 ივნისი
ფარუ. „ალგარვე". 23.45
ესპანეთი – რუსეთი

16 ივნისი
პორტუ. „ბესა". 21.00
საბერძნეთი – ესპანეთი

20 ივნისი
ლისაბონი.
„ჟოზე ალვალადე". 23.45
ესპანეთი – პორტუგალია

ესპანეთმა პორტუგალიასთან უკვე წააგო

იშვიათი შემთხვევაა — ესპანეთი ჩემპიონობის ფავორიტთა შორის არ მოიხსენიება. მიზეზი ძნელი საძებნელი არ არის, ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი ყველასთვის მოულოდნელად უაღრესად არადამაჯერებლად განვლო და პორტუგალიაში უკანა კარით, პლეი ოფით გააღწია

ამასთანავე, ესპანეთმა სხვა დიდი მარცხიც იწვნია. ეს ქვეყანა ჩემპიონატის მასპინძლობის უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა და მისდა საუბედუროდ, მეზობელ პორტუგალიასთან დამარცხდა.

თუმცა ესპანელებს საწუწუნო მაინც არაფერი ჰქონდათ, რაკი შესარჩევ ჯგუფში ძალიან გაუმართლათ, მეტოქედ არც ერთი ძლიერი გუნდი არ ჰყოლიათ. აბა, საბერძნეთი, უკრაინა, ჩრდილოეთ ირლანდია და სომხეთი ესპანელებთან რა სახსენებელნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არც ეგრე ყოფილა...

პლეი ოფში კი ესპანეთმა ნორვეგიას ორი მატჩის ჯამში 5:1 მოუგო, მაგრამ ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს — ესპანელებს, განსაკუთრებით პირველ, საშინაო შეხვედრაში ძალიან გაუჭირდათ, თუმც იღბალმა კი გაუღიმათ.

და ყოველივე ამის მიუხედავად, ფიქრობენ, რომ ესპანეთი შ ჯგუფიდან უნდა გავიდეს. ნაკრების უფრო შორს წასვლა კი მცოდნე ხალხს ეეჭვება, რადგან ესპანეთს, რომელსაც 1964 წლის მერე არაფერი ღირებული არ მოუგია, ბლომად პრობლემები აქვს. 1964-ში კი, გაგახსენებთ, ესპანეთი ევროპის ჩემპიონი გახდა, გადამწყვეტ მატჩში საბჭოთა კავშირს სძლია.

პრობლემები რომ ვახსენეთ, დაცვასა და თავდასხმაში არსებულ პრობლემებს ვგულისხმობთ. მაგალითად, ფერნანდო იეროს ფეხბურთიდან წასვლის მერე ინაკი საესს დაცვის ცენტრში კარლოს მარჩენას და ივან ელგერას იმედი აქვს, მაგრამ ესენი შეუთამაშებლები არიან. ასევე პრობლემაა თავდასხმაში რაულის მეწყვილის პოვნა, რის თაობაზეც თავად საესმა ასე თქვა: „ყველაზე მეტად მე-9 ნომრის პოზიციაზე ფეხბურთელის შერჩევა მაფიქრებს. ჩვენს ნაკრებს გოლის გატანის პრობლემა აქვს. გამოკვეთილი ცენტრფორვარდი გვჭირდება, თანაც სასწრაფოდ."

ამბობენ, ამ პოზიციაზე ყველაზე რეალური კანდიდატურა ფერნანდო მორიენტესი არისო. ისე კი, ესპანეთის ნაკრებში, ტრადიციულად, ნახევარმცველებს უფრო მეტი გოლი გააქვთ, ვიდრე თავდამსხმელებს. თუნდაც ხოსება ეჩებერიას და რუბენ ბარახას გოლები შეგვიძლია გავიხსენოთ. მორიენტესი ვახსენეთ და არც 20 წლის ატლეტიკოელი ფერნანდო ტორესი არის სათვალავიდან ამოსაგდები.

საერთოდ კი, საესის ნაკრები, რომლითაც ის ევროპის ჩემპიონატზე მიდის, დაცვაზე ორიენტირებული ნაკრებია. უბრალო მაგალითით დავასაბუთოთ: საესს პორტუგალიაში ხოსე ანტონიო რეიესი და მისტა არ მიჰყავს.

ხოსე ანტონიო რეიესმა შესარჩევ მატჩებში კი იფრინა, მაგრამ ევრო-2004-ზე მაინც არ წაიყვანეს

მეკარეები

იკერ კასილიასი	რეალი, მადრიდი
სანტიაგო კანისარესი	ვალენსია
დანიელ არანსუბია	ატლეტიკი, ბილბაო

მცველები

მიჩელ სალგადო	რეალი, მადრიდი
კარლეს პუიოლი	ბარსელონა
ივან ელგერა	რეალი, მადრიდი
კარლოს მარჩენა	ვალენსია
რაულ ბრავო	რეალი, მადრიდი
გაბრი გარსია	ბარსელონა
მარტინ სესარი	დეპორტივო, ლა კორუნია
ივან ხუანიტო	ბეტისი, სევილია

ნახევარმცველები

ხაბი ალონსო	სოსიედადი, სან სებასტიანი
რუბენ ბარახა	ვალენსია
ვისენტე როდრიგესი	ვალენსია
დავიდ ალბელდა	ვალენსია
ხუან კარლოს ვალერონი	დეპორტივო, ლა კორუნია
ხოაკინ სანჩესი	ბეტისი, სევილია
ხავი ერნანდესი	ბარსელონა
ხოსება ეჩებერია	ატლეტიკი, ბილბაო

თავდამსხმელები

რაულ გონსალესი	რეალი, მადრიდი
ფერნანდო მორიენტესი	მონაკო, საფრანგეთი
ფერნანდო ტორესი	ატლეტიკო, მადრიდი
ალბერტ ლუკე	დეპორტივო, ლა კორუნია

მწვრთნელი: ინაკი საესი



რაული არ დაიკარგება

როგორ ითამაშებს ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე წინასწარ ამოუხსნელი ამოცანაა, თუმცა ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ ნაკრების უდავო ლიდერი რაული იქნება.

თითქმის ათწლეული გავიდა მას მერე, რაც რაული დიდ ფეხბურთში გამოჩნდა და მას მერე ერთი წუთითაც არ დაკარგულა.

დღეს თითო დუჟინი ფეხბურთელი შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, რომლებიც თანამედროვე იტალიური, ინგლისური თუ ფრანგული ფეხბურთის სახეებს წარმოადგენენ, ესპანურისა კი უპირველესად რაულია. რა გასაკვირია, თუ მის ნადავლში მოიძებნება ესპანეთის ჩემპიონის ოთხი ტიტული, სამი ჩემპიონთა თასი, ორი საკონტინენტთაშორისო თასი. ის „რეალის" და ნაკრების კაპიტანიცაა. მისი სანაკრებო დებიუტი 1996 წელს შედგა და მას მერე 70 მატჩში 38 გოლი გაიტანა. აქვს გოლის ჩინებული ალღო, თუმცა ამავე დროს, ის არ არის გამოკვეთილი ცენტრფორვარდი.

შარშან, „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან „მანჩესტერ იუნაიტედი" რომ გააგდო, საშინაო მატჩში კი რაულმა ორი გოლი გაიტანა, სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელიაო.

რაულს გოლები ერთნაირად კარგად გააქვს მარჯვენა ფეხით, მარცხენა ფეხით, თავით და, ცოდვა გამხელი სჯობს, ხელითაც.

თუმცა რაული საკლუბო ფეხბურთს უკეთ თამაშობს, ვიდრე სანაკრებოს. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე რაულმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, ევრო 2000-ზე კი ესპანეთმა სწორედ მისი ბოლო წუთზე გაფუჭებული პენალტის გამო წააგო მეოთხედფინალში საფრანგეთთან.

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კი რაულმა უკეთ ითამაშა, ჯგუფურ ეტაპზე სამი გოლი გაიტანა, მერვედფინალში ირლანდიასთან მიღებულმა ტრავმამ კი სამხრეთ კორეასთან ის ავადსახსენებელი მეოთხედფინალი გამოატოვებინა.

ევრო-2004 . A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი

ინაკი საესი: საჭირო კაცი საჭირო დროს



ასაკობრივ ნაკრებებში სრულიად ფანტასტიკური შედეგის მიუხედავად, ინაკი საესი მაინც შემთხვევით გახდა ესპანეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელი

ესპანეთმა, მოგეხსენებათ, წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გააღწია და ოდენ მსაჯთა აშკარა შეცდომების გამო ვერ წავიდა უფრო წინ. ამასთანავე, არც მეოთხედფინალში გასვლაა ურიგო შედეგი. ერთი სიტყვით, ხოსე ანტონიო კამაჩოს გაშვება არავის უფიქრია, მაგრამ ის ნებით წავიდა და ფედერაციაც დილემის წინაშე დადგა. ყველა მწვრთნელი, რომელიც შეიძლებოდა ნაკრებში მიეწვიათ, დაკავებული იყო და ფედერაციაშიც საესი გაახსენდათ.

60 წლის ბასკის, ბილბაოს „ატლეტიკის" ყოფილი მცველის სამწვრთნელო ბიოგრაფია კი მართლა შთამბეჭდავია. 1998 წელს მისი 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს საესმა 20-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონად აქცია, ორი წლის წინ კი ესპანეთის ოლიმპიურ ნაკრებს სიდნეიში ვერცხლი მოაგებინა. ამასთანავე სანაკრებოდ საესმა აღმოაჩინა ატლეტიკოელი ფორვარდი ფერნანდო ტორესი, არსენალელი თავდამსხმელი ხოსე ანტონიო რეიესი, სოსიედადელი ნახევარმცველი ხაბი ალონსო. და საერთოდაც, 2002 წლის აგვისტოში უნგრეთთან ჩატარებული პირველი ამხანაგური მატჩის მერე საესმა დიდ ნაკრებში ახალგაზრდების ნელ-ნელა მიყვანა დაიწყო. თუმცა, ისიცაა, რომ ნახსენები რეიესი საესს პორტუგალიაში არ მიჰყავს, რასაც ამგვარად ხსნის: „რეიესი მომავლის ფეხბურთელია."

მოკლედ, საესი წარმატებული მწვრთნელის სახელით მივიდა ნაკრებში და დასაწყისიც ურიგო არ ჰქონდა. მაგრამ მერე რაღაცეები ისე არ მოხდა, როგორც ესპანელებს სურდათ და ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. ცხადია, საესის მისამართით კრიტიკა დაიძრა, რასაც თავად მწვრთნელი უმართებულოდ მიიჩნევს.

სხვათა შორის, საესის მხარეს ფეხბურთელებიც არიან და ბასკს ერთ-ერთ დამსახურებად სწორედ ფეხბურთელების კეთილგანწყობის მოპოვებას უთვლიან.

მაგალითად, იკერ კასილიასმა თქვა, ჩვენ სწორედ ასეთი მწვრთნელი გვჭირდებოდა. მან იცის, როგორ განაწყოს გუნდი საბრძოლველად და ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, რომ საესისთვის ნაკრების ინტერესები პირად ინტერესებზე ბევრად მაღლა დგასო.

და მაინც, თუ ესპანეთის ნაკრებმა პორტუგალიაში მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია, საეჭვოა, ინაკი საესმა პოსტის შენარჩუნება მოახერხოს.

კარგი კი არა, ძალიან კარგი



ზინედინ ზიდანმა, დევიდ ბექემმა და ლუიშ ფიგუმ „რეალში" ეს სეზონი მთლად კარგად ვერ ითამაშეს, იგივეს ვერ ვიტყვით მადრიდელ მეკარე იკერ კასილიასზე, ვინაც ევროპის ჩემპიონატზე რაულთან ერთად ესპანელთა მთავარი იმედია

23 წლის გოლკიპერი მეხუთე სეზონს თამაშობს უმაღლეს დონეზე და მესამედ ემზადება დიდ სანაკრებო შეჯიბრზე გამოსასვლელად. კასილიასი ახლა საუკეთესო ფორმაშია და თავისი აქილევსის ქუსლი — მაღალი ბურთის მოხელთებაც გაცილებით უკეთ გამოსდის. ახლოდან დარტყმისას კი რეაქცია ისევ ისეთი სანაქებო აქვს, როგორც მთელი ეს წლები ჰქონდა.

„ყოველთვის ვიცოდი, რომ იკერი კარგი მეკარე იყო — ამბობს ბექემი — მაგრამ „რეალში" გადასვლის მერე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ის კარგი მეკარე კი არა, საუკეთესო მეკარეა".

კასილიასი ევროპის წინა ჩემპიონატზეც იყო ნაკრებში, მაგრამ მოედანზე არ გასულა. წესით, არც კორეა-იაპონიაში უნდა ყოფილიყო ძირითადი მეკარე, მაგრამ სანტიაგო კანისარესის სულელურმა ტრავმამ ის სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად აქცია. გეხსომებათ, ზედ ჩემპიონატის წინ კანისარესს ოდეკოლონის ბოთლი გაუვარდა, ფეხზე დაეცა და გაუჭრა.

მუნდიალზე, მერვეددფინალში, კასილიასმა ირლანდიელებს პენალტები აუღო და მატჩის გმირად შეიქნა, მაგრამ სამხრეთ კორეასთან იგივე ვეღარ გააკეთა და ხუთივე პენალტი გაუშვა.

სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატის მერე აღარავის შეპარვია ეჭვი, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ესპანელთა მთავარი მეკარე, მათ შორის, არც ინაკი საესს.

კიდევ დავძინოთ, რომ ბრწყინვალე რეაქციის გარდა, იკერ კასილიასი მეტოქესთან პირსიპირ თამაშის დროსაც, ფაქტობრივად, დაუმარცხებელია.

ენდე ვისენტეს

ვინძლო არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საამსეზონო პრიმერაში ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელი ვისენტე იყო. ყოველ შემთხვევაში, საკამათო რომ არ დავტოვოთ, ერთ-ერთი საუკეთესო ნაღდად გახლდათ. ვნებავთ, ასე ვთქვათ: ამ სეზონში ვისენტემ უფრო მეტი ზუსტი, დროული და სახიფათო პასი გაუკეთე თანგუნდელებს, ვიდრე, ვთქვათ, დევიდ ბექემმა და ლუიშ ფიგუმ.

ვისენტეს ანგარიშზეა „სანტიაგო ბერნაბეუზე" გატანილი გოლიც და უეფას თასის ფინალში გატანილი პენალტიც. ჰო, იმ ფინალში მისტამაც ვისენტეს პასით გაიტანა.

„თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, საუკეთესო სეზონი ჩავატარე — თქვა ვისენტემ უეფას თასის ფინალის მერე — ბევრი გოლიც გავიტანე და თანგუნდელებსაც გავატანინე. სრული ბედნიერებისთვის ევროპის ჩემპიონატზეც კარგად თამაშიდა მაკლია."

ისე, ჩვენც ვაღიარებთ, რომ ოთხი წლის წინ, როცა ვისენტე პრიმერადივიზიონში პირველ ნაბიჯებს დგამდა, მასზე ყოველი ტურის მერე კარგ-კარგ რამეებს ვწერდით:

— მგონი, ახალი ვარსკვლავი ეზრდება „ვალენსიას". ზუსტად ერთი კვირის წინ ვწერდით, 19 წლის ნახევარმცველმა ხულიენ ვისენტემ პირველად ითამაშა პრიმერადივიზიონში და გოლიც შეაგდოო. ახლა მეორე მატჩი და მეორე გოლი.

— წინა ტურის მიმოხილვაში ვწერდით, მგონი, „ვალენსიას" ახალი ვარსკვლავი ეზრდებაო და ეს აზრი უფრო განმტკიცდა.

დავძინოთ, რომ ვისენტე „ვალენსიამ" „ლევანტედან" მიიყვანა და არც შემცდარა. მგონი, არც ინაკი საესი ცდება.

გზა პორტუგალიამდე

VI შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002	საბერძნეთი 0:2 ესპანეთი
12.10.2002	ესპანეთი 3:0 ჩრდ. ირლანდია
29.03.2003	უკრაინა 2:2 ესპანეთი
02.04.2003	სომხეთი 0:3 ესპანეთი
07.06.2003	ესპანეთი 0:1 საბერძნეთი
11.06.2003	ჩრდ. ირლანდია 0:0 ესპანეთი
10.09.2003	ესპანეთი 2:1 უკრაინა
11.10.2003	ესპანეთი 4:0 სომხეთი

საბოლოო ცხრილი

საბერძნეთი	8	6	0	2	8:4	18
ესპანეთი	8	5	2	1	16:4	17
უკრაინა	8	2	4	2	11:10	10
სომხეთი	8	2	1	5	7:16	7
ჩრდ. ირლანდია	8	0	3	5	0:8	3

პლეი ოფი

15.11.2003	ესპანეთი 2:1 ნორვეგია
19.11.2003	ნორვეგია 0:3 ესპანეთი



ვისენტე როდრიგესი

ჩემპიონთა ლიგა 2003-04. ფინალი. დღეს

ვაჟა ხუციშვილი

მონაკო (საფრანგეთი)

გელზენკირხენი. „აუფ შალკე“. 23.45

ფლავიო რომა, 29 წლის. „მონაკოს“ იტალიელი მეკარე, რომელსაც „კიევოში“ და „პიაჩენცაში“ უთამაშია, გამოსვლებზე ხანდახან სცოდავს. „ჩელსისთან“ გრონკიაერისგან „სიმენური“ გოლი გაუშვა, მაგრამ იმავე მატჩში რამდენჯერმე დაამტკიცა, რომ ხაზზე უბადლოა.

უგო იბარა, 30. „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი მარჯვენა მცველი. არგენტინიდან ევროპაში გადმოსვლის შემდეგ „პორტუში“ თამაშობდა. შარშან ივლისში მაურინიუმ დეშანს ერთი წლით დაუთმო. ტექნიკურია და ჰაერშიც ხშირად სჯობნის მეტოქეს, მიუხედავად იმისა, რომ 170 სანტიმეტრია.

სებასტიან სკილაჩი, 23. სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი საფრანგეთში. ნაკრებშიც უხმეს, მაგრამ არ უთამაშია. საჰაერო ორთაბრძოლებში ძლიერია და შეტევაშიც სასარგებლოა. განვლილ სეზონში ფეხის ორი ტრავმა გადაიტანა.

ჟულიენ როდრიგესი, 26. შეიძლება მოკლედ ითქვას — მეტად საიმედო მცველი.

პატრის ევრა, 24. სწრაფი და აგრესიული მარცხენა მცველი, რომელიც შეტევებში გულიანად ერთვება.

გაელ გივე, 23. უნივერსალური ფეხბურთელი. განვლილ სეზონში ძირითადად მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა, თუმც სკილაჩის არყოფნაში ცენტრალური მცველობაც გასწია.

ლუკას ბერნარდი, 27. შემტევი ნახევარმცველი, რომელიც იტალიაშია დაბადებული, „მონაკოს“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია.

ედუარდ სისე, 26. „ვესტ ჰემისა“ და პსჟ-ს ყოფილი მოთამაშე, რომელიც კარგი პასებით გამოირჩევა.

ჟერომ როტენი, 26. მარცხენა ფლანგის ბატონ-პატრონი. თავისი ცაციით, ბურთის შესაშური ფლობით და საგოლე პასით არაერთი მეტოქე გაამწარა. მისი დამჩაგრავი ჯერ არ გამოჩენილა.

ლუდოვიკ ჟიული, 27. „პატარა უფლისწულად“ მონათლული ჟიული, ვერცხლისწყალივით მოძრავი და მოუსვენარია. ძალიან სწრაფია, მოედანს შესანიშნავად ხედავს და გოლებიც გააქვს.

ფერნანდო მორიენტესი, 28. ჩემპიონთა ლიგის 12 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

დიდიე დეშანი: მოგება და წაგება ძმები არ არიან

დიდიე დეშანს მიაჩნია, რომ მისი გამოცდილება დღეს „მონაკოს“ გამარჯვებაში დაეხმარება.

35 წლის დეშანი ბრწყინვალე კარიერით დაიკვეხნის და იცის, რა და როგორ ასწავლოს ფეხბურთელებს. იგი მსოფლიოს 1998 და ევროპის 2000 წლების ჩემპიონ ფრანგთა კაპიტანი იყო. გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგის ხუთ ფინალში უთამაშია და მათგან ორი მოუგია.

დეშანმა სინანულით აღნიშნა, რომ თავად ვერ გავა მოედანზე და ფეხბურთის ყურება სკამიდან მოუწევს, თუმც სჯერა — „მონაკოს“ ძალუძს თასის მოგება. „მე მევალება თითოეული ფეხბურთელის სათანადოდ მომზადება — თქვა მან — ისინი ოთხშაბათისთვის ოპტიმალურ ფორმაში იქნებიან და კარგად ითამაშებენ“.

წინა კვირაში „მონაკოს“ თავკაცი თავის შეგირდებს ცალ-ცალკე ესაუბრა. „ნებისმიერ ფეხბურთელთან საჭირო სიტყვები უნდა გამოძებნო. ფერნანდო მორიენტესი გამონაკლისია. მას ბევრი ახსნა არ სჭირდება, რადგან გამოცდილი კაცია, დანარჩენები კი ალბათ ნერვიულობენ და შეიძლება ფსიქოლოგიურად გაუჭირდეთ“.

მწვრთნელმა ფეხბურთელები პრესასაც მოარიდა: „საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ფინალი რომ ახლოვდება, ჟურნალისტები მოთამაშეებს გამუდმებით აწუხებენ. მე ეს აღვკვეთე, რადგან მსურს, მშვიდად მოემზადონ. ამიტომ გავარიდე მონაკოს და „ფორმულა 1“-სგან გამოწვეულ აჟიოტაჟს“.

დეშანმა მოგებული ფინალები გაიხსენა და წაგებულებიც არ დავიწყებია: „დამარცხებული გუნდის კვარცხლბეკზე ასვლა საცოდაობაა, არ მინდა, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა იგივე გამოსცადონ. მათ ჩემი წაგებული ფინალების შემდგომი გრძნობების შესახებ მოვუყევი და ავუხსენი, როგორ საზიზღრად იწელება მერე ზაფხული“.

თერთმეტი წლის წინ დეშანი „მარსელში“ თამაშობდა, რომელიც ჩემპიონთა თასის მომგები პირველი ფრანგული გუნდი გახდა, ახლა კი უკვე ყოფილ ფეხბურთელს შანსი აქვს, თასს მწვრთნელის რანგში დაეუფლოს და ისტორიაში შევიდეს.

„ამაზე არც ვფიქრობ — განაცხადა დეშანმა — დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ადამიანის ბედი ზეცაშია გადაწყვეტილი. თუ ჩემპიონთა ლიგის მომგები პირველი ფრანგი მწვრთნელი გავხდები, დიდებული იქნება“.

დიდიე დეშანი დეკო სოუზას უფრთხის — „არ მსურს, ტაქტიკური საიდუმლოება გავამხილო, მაგრამ ყველაზე მეტ ყურადღებას ალბათ დეკოს დავუთმობთ“.

დადო პრსო მომავალი სეზონიდან „რეინჯერსში“ ითამაშებს. სათავადოს გუნდის მაისურით კი დღეს ბოლო მატჩს გამართავს: ეს არაჩვეულებრივი საღამო იქნება

პრსოს ბოლო თავადური

ჯერ კიდევ ვერ შევეგუე იმ ამბავს, რომ მონაკოდან გლაზგოში მივდივარ. ამ კლუბის მადლიერი ვიქნები მთელი ცხოვრების მანძილზე. მათ ხომ მეოთხე დივიზიონის „კლუბიდან“ ამიყვანეს.

ძალიან მსურს, თავაწეულმა და გამარჯვებულმა დავტოვო საფრანგეთი.

ჩემი აზრით, „პორტუ“ ევროპაში ყველაზე უკეთ დაბალანსებული გუნდია. დეკო სოუზას გამოვარჩევ, ჩვენს მცველებს გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ მის შესაჩერებლად.

ფრანსისკო კოშტინია ადრე „მონაკოში“ თამაშობდა და მასთან ახლაც ვმეგობრობ. წინა კვირას დამირეკა და ხმაზე შევატყვე, რომ ნერვიულობდა, რაკი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაში ელის. კარგი იქნება ფრანსისკოს ნახვა, მაგრამ უმჯობესია, სათადარიგოთა სკამზე დარჩეს. იგი ხომ მოედანის ცენტრში ყოველ მეტრს აკონტროლებს და ბოლომდე იბრძვის.

მსაჯი

ფინალის მსაჯი კიმ-მილტონ ნილსენია. 1960 წელს კოპენჰაგენში დაბადებული ნილსენი პროფესიით საინფორმაციო ტექნოლოგიის მენეჯერია. მსაჯობა 1976-ში დაიწყო. ათი წლის შემდეგ დანიის უმაღლესი დივიზიონის მატჩი ანდეს, 1988 წლიდან კი ფიფას მსაჯია.

კიმ-მილტონ ნილსენის კარიერა წარმატებული გამოდგა. მან 134 საერთაშორისო მატჩში იმსაჯა. მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალი საფრანგეთში, არგენტინასა და ინგლისს შორის, რომელშიც დევიდ ბექჰემი გააძევა.

2002 წლის მუნდიალზე ნილსენს სამი მატჩი ანდეს, ნახევარფინალში კი ბრაზილია — თურქეთს გაუძღვა.

აღსანიშნავია, რომ დანიელს ჩემპიონთა ლიგაში სხვებზე მეტი, 44 მატჩი განუსჯია. „დიდი პატივია, რომ ლიგის ფინალი ჩამაბარეს. არ ვნერვიულობ და ჩვეულად ვემზადები“ — თქვა ნილსენმა.

ლუდოვიკ ჟიული: გმადლობთ, მამა

ხალხს ფავორიტად „პორტუ“ მიაჩნია და ამიტომაც მგონია, რომ ჩვენ მოვიგებთ. „რეალთან“ და „ჩელსისთანაც“ იგივე ვითარება იყო. ფინალში ისივე უნდა ვითამაშოთ, როგორც ორ „ვეშაპთან“ ვითამაშეთ. „დეპორტივოს“, „რეალსა“ და „ჩელსის“ ბევრი გოლი გავუტანეთ. განსაკუთრებით საამაყოა მადრიდელებთან გამარჯვება. მაშინ ვირწმუნეთ, რომ შეგვიძლია იმ გუნდის ძლევა, რომელსაც რონალდო, ზიდანი და ფიგუ ჰყავს. მსგავსი რამ დაუვიწყარია.

განვლილ სეზონს თუ გადავხედავთ, გეტყვით, რომ „მონაკო“ არ არის რომელიმე ერთ ფეხბურთელზე აწყობილი გუნდი. ყოველი მოგებული მატჩის წინ ფავორიტებად არავინ გვთვლიდა, საბოლოოდ კი ჩვენ ვიმარჯვებთ.

ფეხბურთელი რომ გავხდი, მეტწილად მამაჩების დამსახურებაა. არასოდეს მაძალებდა რამეს, მხოლოდ ყურადღებით ვუსმენდი. „ლიონიდან“ „მონაკოში“ გადასვლის (1998 წლის იანვარი) შემდეგ გავიზარდე და ახლა, როცა უკვე ფინალში ვარ, მამაჩემი მეგობარივით მესაუბრება.

ჩემპიონთა ლიგა 2003-04. ფინალი. დღეს

პორტუ (პორტუგალია)

მსაჯი: ჯიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

უბრალო გუნდი კარგი ფეხბურთელებით

ვის ოჯახში დაიბადება ბავშვი?

ბობი რობსონის ყოფილმა თარჯიმანმა ჟოზე მაურინიუმ „პორტუ“ 2002 წლის იანვარში ჩაიბარა. მომდევნო სეზონში გუნდმა უეფას თასი მოიგო, ამჯერად კი ჩემპიონთა თასის აღმართვას ლამობს



ჟოზე მაურინიუ: ეს თასი ჩემთვის მინდა

„მანჩესტერში თამაშის შემდეგ ვიფიქრე, რომ ნახევარფინალში გასვლაც შეგვეძლო. მეოთხედფინალში გამარჯვებამ კი ფინალის მადა აღმიძრა. ახლა ფინალში ვართ და თასის მოგება მსურს, თუმც თავიდან ჩვენი მიზანი მხოლოდ ჯგუფიდან გაღწევა იყო“ — განაცხადა „პორტუს“ თავკაცმა.

როგორ გაძვრა „პორტუ“ ფინალში მაშინ, როცა „მილანი“, „რეალი“ და „ჩელსი“ განზე დარჩნენ? მაურინიუს წარმატების საიდუმლო ფორმულა აქვს? „არავითარი ფორმულა — უარყო მწვრთნელმა — უბრალოდ, გვყავს გუნდი, რომელშიც კარგი ფეხბურთელები თამაშობენ და ყოველდღიურად შრომობენ წარმატების მისაღწევად“.

„უსამართლობა იქნება, ვინმემ მარცხისთვის რომ გაგვკიცხოს. თუნდაც წავაგოთ, ბიჭებზე აუგი არ დამცდება, მაგრამ თითოეულმა კარგად იცის, თუ რას ნიშნავს გამარჯვება ჩვენთვის და პორტუგალიისთვის. ძალიან ცოტა რამ შეედრება ჩემპიონთა ლიგის მოგებას. ეს, დაახლოებით, ოჯახში ბავშვის დაბადებას ჰგავს, რომელიც განუმეორებელ სიხარულს იწვევს“ — დასძინა მაურინიუმ და განაგრძო: „ფინალში ფავორიტობაზე ლაპარაკი სისულელეა. მე ფეხბურთელებს განვლილ გზაზე ვესაუბრები და მოგებულ მატჩებს ვახსენებ. „მონაკომ“ „რეალი“ და „ჩელსი“ მოისროლა, ჩვენ კი „მანჩესტერი“ და „დეპორტივო“. ხალხის აზრით, რადგან ფინალში გრანდები ვერ გავიდნენ, თამაში საინტერესო არ იქნება. ისინი იმიტომ არ არიან გელზენკირხენში, რომ ჩვენ გავყარეთ და აქ ყოფნა დავიმსახურეთ.“

რობსონის თარჯიმანყოფილმა ერთიც ინატრა: „მსურს, გუნდმა ისე ითამაშოს, როგორც აქამდე თამაშობდა“. თავის ფრანგ კოლეგაზე კი თქვა: „ძნელია ჩვენი შედარება. დიდიე დეშანი დიდი ფეხბურთელი იყო და მოედნიდან პირდაპირ მწვრთნელის სკამზე გადაინაცვლა. მე სხვა გზა გავიარე. ფეხბურთელობისას არ ვბრწყინავდი, მაგრამ სამაგიეროდ, ბევრი რამ ვისწავლე, დიდი მწვრთნელების გვერდით ვმუშაობდი, საბოლოოდ მთავარი მაინც შედეგია და ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ მხრივ წარმატებული კაცები ვართ“.

ვიტორ ბაიამ 1997 წელს „ბარსელონაში“ თასების მფლობელთა თასი მოიგო, შარშან „პორტუში“ უეფას თასი და დღეს ჩემპიონთა თასიც თუ მიაყოლა, კოლექციაში სამივე ევროპული ჯილდო დაუგროვდება

კოლექციონერი ბაია

„ისე მივეჩვიეთ მოგებას, რომ წაგება ჩემთვის უკვე წარმოუდგენელია. ჟოზე მაურინიუმ ორ წელიწადში გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოგვიყალიბა. მწვრთნელი ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ აქვე პრეზიდენტზეც ვიტყვი — ჟორჟე ნუნუ პინტუ და კოშტა მაურინიუს ყოველ მხრივ ეხმარება და ამიტომაც გამოვიდა „პორტუსგან“ ძლიერი გუნდი.

დღეს მატჩის შედეგს წვრილმანები გადაწყვეტს. ჩვენ ფავორიტებად არავინ გვთვლიდა, თუმც ფინალში აღმოვჩნდით. ვფიქრობ, რომ თანაბარძალოვანი მეტოქეები ვართ. მესამე ევროპულ თასსაც თუ ავიღებ, დიდად გავიხარებ. ფეხბურთელისთვის ხომ ჯილდო მთავარია.

ფრანგულ გუნდებთან მჰიმე ბრძოლები გადავიტანეთ. „მარსელთანაც“ და „ლიონთანაც“ ძალიან გაგვიჭირდა, რადგან მათ ყოველთვის ტექნიკურ ფეხბურთელები ჰყავთ. ფინალშიც ომისმაგვარი გველის და ვიმედოვნებ, რომ ფრანგულ ბარიერს ამჯერადაც დავძლევთ.

„მონაკო“ ყველა რგოლში ძლიერია, პრსოს და ჟიულის თვალი წამითაც კი არ უნდა მოაშორო, მორიენტესის ამბავი ყველას კარგად მოეხსენება.

ვიტორ ბაიას ჩემპიონთა თასიღა აკლია

არ ვიძუნწები

მანიშე რიბეირუ ფრანგული გუნდების რისხვაა. ჯგუფურ ეტაპზე „მარსელს“ ერთი, მეოთხედფინალში კი „ლიონს“ სტუმრად ორი გოლი გაუტანა

უზომოდ გავიხარებ, „მონაკოსაც“ თუ გავუტან — თქვა მანიშემ — გოლი ყოველთვის მთავარია, მით უმეტეს, ფინალში გატანილი და, მით უფრო, გამარჯვებისა.

მიუხედავად ამისა, არ ვიძუნწებ. თანაგუნდელი უკეთეს პოზიციაზე თუ აღმოჩნდა, ბურთს მას მივაწვდი.

საფინალოდ მობილიზებულნი ვართ და მხოლოდ „მონაკოზე“ ვფიქრობთ. ჟოზე მაურინიუმ დიდი შრომა გასწია და არ გვსურს, წყალში ჩავუყაროთ. ფინალში თამაში ნებისმიერი ჩვენგანის ოცნებაა. არ ვიცით, ვინ იქნება ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ვინც უნდა იყოს, ყველა ბოლომდე უნდა დაიხარჯოს.

მორიენტესი და ჟიული დიდებული ფეხბურთელები არიან, მათ წამებში შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

ვიტორ ბაია, 34 წლის. მშვიდი, აუღელვებელი მეკარე, რომელმაც მუხლის ტრავმა გადაიტანა, ახლა კი კვლავ შესანიშნავ ფორმაშია.

პაულუ ფერეირა, 25. ორი წლის წინ „სეტუბალიდან“ გადაიყვანეს და ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო მარჯვენა მცველად ჩამოყალიბდა.

ჟორჟე კოშტა, 32. 1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. ჟოზე მაურინიუს მეცადინეობით იგი უნივერსალურ ფეხბურთელად იქცა.

რიკარდუ კარვალიუ, 26. ცენტრალური მცველი. პორტუგალიაში „ბარეზად“ მონათლეს. ლუიშ ფელიპე სკოლარის მისი იმედი აქვს. ჰაერში შეუდარებელია და გრძელი პასების სიზუსტით გამოირჩევა.

ნუნუ ვალენტე, 29. „პორტუში“ 2002 ნელს გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი მალევე დაიმკვიდრა. მარცხენა მცველია. სისწრაფის ხარჯზე შეტევებში ჩართვა არ უჭირს.

ფრანსისკო კოშტინია, 29. ნახევარმცველი, რომელმაც კარიერის ოთხი წელი „მონაკოში“ გაატარა. ელეგანტური ჩაცმულობის გამო მეტსახელად „მინისტრი“ შეარქვეს.

მანიშე რიბეირუ, 26. ჟოზე მაურინიუმ იგი „ბენფიკას“ სათადარიგოთა სკამიდან წაიყვანა და მოკლე ხანში შემტევ ნახევარმცველად აქცია.

დეკო სოუზა, 26. გაპორტუგალიელებული ბრაზილიელი, რომელიც „პორტუს“ ორწლიანი წარმატებების შემოქმედია. ბურთს უზადოდ ფლობს, საგოლე პასების ოსტატია და შეტევების დასრულებაც ეხერხება.

პედრუ მენდეში, 25. გამოირჩევა ბრძოლისუნარიანობით. შარშან გადაიყვანეს „გიმარაეშიდან“ და გაამართლა. ხშირად „პორტუს“ კონტრშეტევების წამომწყებია.

დერლეი სილვა, 28. ოთხთვიანი ავადობის შემდეგ ბრაზილიელი ფორვარდი „დეპორტივოსთან“ მატჩში ლა კორუნიაში დაბრუნდა და პენალტი შეაგდო. მეტსახელად „ნინძამ“ შარშან უეფას თასზე 12 გოლი გაიტანა, მათ შორის ორი ფინალში.

ბენი მაკკარტი, 26. პორტუგალიის ჩემპიონატის ბომბარდირი მაურინიუმ შარშან „სელტადან“ ელდერ პოსტიგას შემცვლელად მიიყვანა. მაკკარტი-დერლეის წყვილი ნებისმიერი მეტოქისთვის საშიშია.

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი						
		I დივიზიონი. პლეი-ოფი						
		29 მაისი						
19.00	002	ვესტ ჰემი-კრ. პალასი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი						
		30 მაისი						
19.00	003	ბრისტოლი-ბრაიტონი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი						
		31 მაისი						
19.00	004	მენსფილდი-ჰადერსფილდი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
		დანია. სუპერლიგა. XXXIII ტური						
		29 მაისი						
18.00	085	ოლბორგი-მიდტიულანდი	1,85	3,4	3,5	1,19	1,21	1,72
18.00	086	ბრიონდბიუ-აკადემისკი	1,12	6,0	14,0	1	1,03	4,19
18.00	087	ესბიერგი-ფრემი	1,35	4,4	7,0	1,03	1,13	2,7
18.00	088	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	6,5	4,2	1,4	2,55	1,15	1,04
18.00	089	ოდენსე-ჰერფიოლგე	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
18.00	090	ორჰუსი-ვიბორგი	2,05	3,4	3,1	1,27	1,23	1,62
		პოლონეთი. I ლიგა. XXVI ტური						
		30 მაისი						
22.00	192	ოდრა-პლოცკი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		მექსიკა. კლაუსურა						
		26 მაისი						
02.05	245	კრუს ასული-ხაგუარესი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
06.05	246	ატლანტე-ჩივასი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		27 მაისი						
01.05	247	ტოლუკა-ამერიკა	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
06.45	248	ატლასი-პუმასი	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38
		გერმანია. თასი. ფინალი						
		29 მაისი						
23.00	261	ვერდერი-ალემანია	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
		საფრანგეთი. თასი. ფინალი.						
		29 მაისი						
23.45	262	პსჟ-შატორუ	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
		ჩემპიონთა ლიგა. ფინალი						
		26 მაისი						
23.45	001	მონაკო-პორტუ	2,9	3,0	2,4	1,47	1,31	1,33
		თასის აღება						
		26 მაისი						
23.45	7001	მონაკო-პორტუ	1,9	1,7				
		ლიბერტადორესის თასი						
		26 მაისი						
03.15	270	დეპორტივო-რივერ პლეიტი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
05.45	271	ტახირა-სან პაულუ	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
		ამხანაგური მატჩები						
		27 მაისი						
22.00	285	ნორვეგია-უელსი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
23.30	286	ესტონეთი-შოტლანდია	2,9	3,1	2,3	1,49	1,28	1,32
23.30	287	გერმანია-მალტა	1,02	8,0	30,0	1	1	6,31
23.30	288	ირლანდია-რუმინეთი	2,0	3,1	3,5	1,21	1,27	1,64
		28 მაისი						
20.45	289	საფრანგეთი-ანდორა	1,01	9,0	40,0	1	1	7,34
22.00	290	ფინეთი-შვედეთი	2,9	3,1	2,3	1,49	1,28	1,32
		კალათბურთი. ესპანეთი						
		27 მაისი						
23.00	1111	უნიკახა-ბარსელონა	1,8	10,0	1,8	1,52	1	1,52
		28 მაისი						
23.30	1112	ესტუდიანტესი-ტაუ	1,9	10,0	1,7	1,59	1	1,45
		კალათბურთი. საბერძნეთი						
		26 მაისი						
21.00	1121	პანათინაიოსი-მარუსი	1,25	10,0	3,0	1,11	1	2,3

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ფეხბურთი
დავით ყიფიანის
თასის ფინალი
დინამო თბილისი

ბორპედო ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

დასწრება უფასოა



ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი

21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12

13 ივნისი

21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

14 ივნისი

21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

15 ივნისი

21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76

16 ივნისი

21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08

17 ივნისი

21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

18 ივნისი

21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	[illegible]	[illegible]	1,28	[illegible]
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88

19 ივნისი

21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

20 ივნისი

23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

21 ივნისი

23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02

22 ივნისი

23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

23 ივნისი

23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.Iად.	6301 ჯგ.გავა	6401 ჯგ.ვერ.გავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი-კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

	I-ში	თანაბრად	II-ში
5501 მონაკო-პორტუ	3,0	2,8	2,0

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201 მონაკო-პორტუ ------------------ 1,65 ------------------ 1,95

I ტაიმის შედეგი

	1	X	2	1-X	1-2	X-2
5001 მონაკო-პორტუ	3,4	2,05	2,9	1,27	1,56	1,2

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101 მონაკო-პორტუ	4,4	10,0	20,0	5,0	4,4	4,6	20,0	10,0	3,6

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5401 მონაკო-პორტუ ------------------ 1,85 ------------------ 1,75

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------ კი ------------------ არა

5301 მონაკო-პორტუ ------------------ 1,65 ------------------ 1,95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ვარსკვლავები ვერის ბაღში

„ბასკოში“ წყვლად გაჩემპიონებული დავით და ირაკლი ბერიშვილები ხალხმა ვარსკვლავებში წყვილადვე ჩაწერა

„თეთრები“

ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
დავით ბერიშვილი (ბასკო)
დავით თორთლაძე (თსუ)
ზაზა გაბისონია (რუსთავი)
გიგი ნაცვლიშვილი (თსუ)
ამროსი ორმოცაძე (თსუ)
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი)
ჟოლვეტ ტუჯანი (ბასკო)
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)
პლასიდე როდუმტა (ბასკო)
კახა შენგელია (თსუ)

მწვრთნელები

ნუგზარ კანდელაკი (ბასკო)
ოთარ ხმელიძე (რუსთავი)

„მუქები“

ირაკლი ხოშტარია (დინამო)
არჩილ ჟღენტი (დინამო)
გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)
შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი)
ვდადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი)
ვალერი კილაძე (დინამო)
დავით მუშკუდიანი (დინამო)
ირაკლი ჯაფარიძე (სტუ-ჯეოსელი)

მწვრთნელები

დრაჟენ ბრაიკოვიჩი (დინამო)
ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ-ჯეოსელი)

სნაიპერების ტონუსი

გოჩა წონელია (მაკაბი)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
ლაშა კეშელავა (ბასკო)
ლაშა ლოსაბერიძე (დინამო)
დავით თორთლაძე (თსუ)
ლევან ჯიმშელეიშვილი (რუსთავი)

ჩატენვების ტონუსი

ვახტანგ მინაშვილი (დინამო)
ჟოლვეტ ტუჯანი (ბასკო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ანატოლი ბოისა (ბასკო)

...და მსაჯები

შაბათს, 29 მაისს ვერის ბაღში ეროვნული ჩემპიონატის რჩეული კალათბურთელები ეგრეთ წოდებულ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩს გამართავენ. შეიძლება ითქვას, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა — კალათბურთის ფედერაცია პირველად ატარებს ამგვარი ტიპის ღონისძიებას. ადრე ქართულ „ოლ სტარს“ და მის თანმდევ კონკურსებს არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა და ჟურნალისტები და უბრალო გულშემატკივრები უწევდნენ ორგანიზებას. რამდენად კარგი შოუ გამოუვა ფედერაციას, ამას შაბათს ვნახავთ.

ღონისძიების ძირითადი ნაწილი, თავისთავად, „ვარსკვლავთა“ მატჩი იქნება. შოუ აგრეთვე მოიცავს სამ კონკურსს — ჩატენვებში, სამქულიანების სროლაში და მინი-ტურნირს. ოთხგუნდიანი მინი-ტურნირის თითოეულ გუნდში სამი მოთამაშე იქნება — ვეტერანი, მოქმედი და ქალი კალათბურთელი.

კონკურსებში მონაწილეთა შერჩევა პირადი სურვილის საფუძველზე მოხდა, „ყველა ვარსკვლავის“ მატჩისთვის კი მოთამაშეები გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად შეირჩა. გამოკითხვა ჩატარდა გაზეთების — „მთავარი გაზეთი, სპორტის“, „ოლიმპისა“ და „სარბიელის“ მეშვეობით და გამოვლინდა „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის მონაწილე 24 კალათბურთელი და 4 მწვრთნელი. მკითხველები ხსენებულ გაზეთებში გამოქვეყნებული ანკეტების საშუალებით თითქმის ერთი თვის განმავლობაში აძლევდნენ ხმას სასურველ მოთამაშეებს.

შოუ სამის ოც წუთზე მინი-ტურნირის ნახევარფინალებით გაიხსნება. როცა ამ მინი-ტურნირის ფინალისტები გამოვლინდებიან, 15 საათზე მთავარი, „ყველა ვარსკვლავის“ მატჩიც დაიწყება. პირველი მეოთხედის შემდეგ მოეწყობა სამქულიანების კონკურსი.

სნაიპერი რომ, გამოვლინდება, „ოლ სტარის“ მეორე პერიოდი გახურდება, რისი დასრულების შემდეგაც დიდ შესვენებაზე მინი-ტურნირის ფინალი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება მოეწყობა. მესამე და მეოთხე პერიოდებს შორის კი ჩატენვების კონკურსი გაიმართება. ერთი სიტყვით, მაყურებელს მოსაწყენად არ ეცლება.

ჩატენვების კონკურსს სპეციალური ჟიური ეყოლება, რომლის წევრები გახლავან ნიკოლოზ დერიუგინი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ნიკა ცქიტიშვილი და რეზო ჩხეიძე.

ყველაფერი რომ დასრულდება, სულ ბოლოს, ყველა ვარსკვლავის მატჩის საუკეთესო მოთამაშეს დაასახელებენ.

მსაჯებად, რა თქმა უნდა, ზაზა მაჩალაძე და დავით ბერეკაშვილი არიან დანიშნულნი, რომლებსაც სამსაჯო კარიერაში ალბათ ყველაზე ნაკლები მომდავებელი ეყოლებათ ამ გასართობ მატჩში. ცოტა უცნაურია, მაგრამ 29 მაისს გულშემატკივარი ალბათ ქართული კალათბურთისგანაც მიიღებს დანატრებულ სიამოვნებას...

ირაკლი პერტაია

მინიტურნირი

ნოდარ ქორქია — ირაკლი ჯაფარიძე — მაკა კუპატაძე
პაატა გურასპაული — პლასიდე როდუმტა — თამარ ბუიღლიშვილი
გია სანაძე — კახა შენგელია — ლიკა ქაჯაია
ნიკო ჩერქეზიშვილი — დავით ბერძენიშვილი — მედეა მხეიძე

2004 NBA Playoffs

24 მაისი

აღმოსავლეთი

ინდიანა 1:1 დეტროიტი

ინდიანა 67:77 დეტროიტი

ინდიანა: ტინსლი (4), მილერი (21), არტესტი (13), ონილი (16), ფოსტერი (2); ჯონსონი (6), ბენდერი (3), კროშერი (2), ჰარინგტონი, ჯონსი

დეტროიტი: ბილაფსი (6), ჰამილტონი (23), პრინსი (5), რ. ვოლესი (10), ბ. ვოლესი (5); ოქური (9), უილიამსონი (9), ჯონსი (3), კემპბელი (2), ჰანტერი



დეტროიტელი რაშიდ ვოლესი ალ ჰარინგტონის „ინდიანას“ წინ აღუდგა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჩავლეიშვილი და მერაბ ანთაძე რუმინულ ვოიაჟზე საუბრობენ

ახალგაზრდებს კიდევ გავზრდით

რუმინეთის ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებული 20 წლამდელ მორაგბეთა ნაკრების თავკაცობამ გუშინ რაგბის კავშირში პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებისთვის მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა და კავშირის პრეზიდენტმა მერაბ ანთაძემ ისაუბრეს.

რუმინეთთან ფინალში ვერმოგების ობიექტურ მიზეზებზე — მსაჯებით დაწყებული და რუმინელი ქვასროლია ვაიქომაგებით დამთავრებული — გვერდის დაწერა შეიძლება. შავზღვისიქითა თავგადასავალი გუშინ ახალგაზრდა ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა მოგვიყვა. გუშინ პრესკონფერენციაზე ამაზეც იყო საუბარი, თუმც წაგების სხვა მიზეზებზეც.

დიპლომატიური გამოცდილების გამოყენებას მერაბ ანთაძე სპორტშიც აპირებს — „მსაჯობის პრობლემისგან შედარებით დაზღვეულნი რომ ვიყოთ, დიპლომატიური სამუშაობი უნდა ჩატარდეს. ეს ხერხი მარტო პოლიტიკაში როდია მომგებიანი. სიღრმისეული პრობლემები კი ფედერაციის გადასაჭრელია. ჯანსაღი გარემო ჩვენ უნდა შევქმნათ.“

პრეზიდენტმა და მწვრთნელმა ისიც შენიშნეს, ევროპის ჩემპიონატისთვის სრულყოფილი შეკრების ჩატარება ვერ მოესწროო. ჩავლეიშვილის თქმით, 10-დღიანი მომზადების შედეგად გუნდის შესაძლებლობები მხოლოდ 60-70 პროცენტით გამოვლინდა.

ბოლოს A ნაკრების ჩამოყალიბების აუცილებლობაზეც ითქვა. ეს ამ პერსპექტიული ახალგაზრდული ნაკრების დაშლის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაც იქნება. რუმინეთმოვლილთა უმეტესობა ულაპარაკოდ მოხვდება A ნაკრებში და ძირითადი ნაკრებისთვისაც უკეთ მოემზადება.

ოთარ მაღლაკელიძე

ქართველები ბორდოში შამპანურისთვის მიდიან

დღეს საქართველოს „შვიდკაცას“ ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრება, უფრო სწორად, საქართველოში მოთამაშე მორაგბეები ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი გუნდიშვილი, ლექსო გუგავა და ლაშა ფირფილაშვილი გაემგზავრებიან და ჩვენს იქ მყოფ მთავარ მწვრთნელ ზაზა ლეჟავასა და ლეგიონერებს შეუერთდებიან „ბორდო რაგბი 7-ის“ ტურნირზე სათამაშოდ. საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებაზე ერთ-ერთი ფავორიტადაც ჩაითვლება. თერთმეტკაციან მორაგბეთა გუნდის შედეგებზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, მაგრამ თვითონ ნაკრების წევრები, როგორც ყოველთვის, დიდი შემართებითაც ემზადებიან. აქაური მორაგბეები შვიდ ივნისს დაბრუნდებიან სამშობლოში.

ბორჯღალოსნები ბორდოს შვიდკაცაზე

ვასილ კაცაძე
გიორგი ჩხაიძე
გრეგუარ იაშვილი
ირაკლი გიორგაძე
დავით ბოლოაშვილი
ირაკლი აბუსერიძე
თედო ზიძზიბაძე
ბესიკ ხამაშურიძე
ირაკლი გუნდიშვილი
ლექსო გუგავა
ლაშა ფირფილაშვილი
მწვრთნელი: ზაზა ლეჟავა

ამერ-იმერნი ფოთში შეიყარნენ

ფოთში დღეს ბავშვთა სარაგბო ფესტივალი ეწყობა, რომელშიც 1993-94 წლებში დაბადებული მორაგბეები მიიღებენ მონაწილეობას. ამ ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი დატვირთვა ის გახლავთ, რომ ერთმანეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვეტერანი მორაგბეებიც მოინახულებენ. გასახსენებელი კი მათ მართლაც რომ ბევრი აქვთ. როგორც რაგბის კავშირში გვაუწყეს, ეს ღონისძიება ფოთის მერიის მხარდაჭერით იმართება. ფესტივალი ერთდღიანია და თბილისიდან ვეტერანები უკვე დღეს დილით გაემგზავრნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგბის კლუბი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კლუბის ვიცეპრეზიდენტი
ზურაბ მხეიძე
დ. სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი საპრიზო 13 263 280 €

ფრანგებს სარეკორდოდ გაუგრძელდათ

სანტორო ლაბაძემდე 6 საათი და 36 წუთი მოდიოდა

ნავსის, ვეტერანისა და ფალარათის წინააღმდეგ

ამქრის უსწრაფეს მომწოდებელსა და ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ ენდი როდიკს საპირველწრეო მატჩში ერთბაშად რამდენიმე ფაქტორის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა.

ჯერ ერთი, ამერიკულ სწრაფჰარდთან გაჩვეულს, მას ყოველთვის უჭირდა თიხნარზე თამაში. ამის გამო როლანგაროსობაზე ის არასოდეს გასცდენია მესამე წრეს, ხოლო შარშან და შარშანწინ სულაც პირველსავე წრეებში დამარცხდა.

მისთვის ამ მავნე ტრადიციის გარდა, ენდიბოის წინაშე იმ დღეს კიდევ ერთი დაბრკოლებაც აღიმართა. სახელდობრ — ფალარათი, რამაც მას არც ღამე მისცა გამოძინების საშუალება და არც დღისით კაცურად დანაყრებისა.

ყველაფერ ამას კი ზედ დაერთო 33 წლის ტოდ მარტინის ჯიუტი და კერპი ნება, რაიც მუცელმტკივან როდიკს ორივე მათგანისთვის უხერხულ საფარზე უნდა გაებზარა.

ჰოდა, გაბზარა კიდეც — 7:6 (7:5), 6:4, 7:5 მოიგო. თუმცა, ანგარიშზევე დაატყობდით, მატჩი მძიმე გამოდგა და ბოლოსკენ მცირედი ყაყანითაც მოგვირისტდა, როცა მსაჯის მავანი გადაწყვეტილებით გაღიზიანებულმა ენდიბოიმ ხმაური ატეხა.

ერთ მომენტში ვიფიქრე, ხომ არ დაავიწყდა, ვის ეთამაშება-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მსაჯს უჩმახებდა და არა მეო — თქვა ნამატჩევს მარტინმა. მერე კი დასძინა — ისე, მაინც გული დამწყდა, ეგრე ავარდნილი ტიპების დასაშოშმინებლად ილაჯი რომ აღარ შემწევსო.

როდიკმა კი ვეტერანს პატივი ჯერ გასახდელშივე დაუდასტურა, მერე კი პრესკონფერენციაზეც — მე კაცს მაგრად ვაფასებო. ბოლოს კი ნავსის გატეხვაზე ილაღავა და ქომაგები დააიმედა, ტიტულს ვერა, მაგრამ მეორე კვირამდე აქ ნაღდად გავჩერდებიო.

რუსის ქალი მოდის

რუსქალთა დივიზიიდან პირველ დღეს ექვსი გოგოცუნა გაირჯა და — აღარც თქვენ გაგიკვირდებათ — ათივე მათგანმა გაიმეორწრევა. გავაკებულს მერვე ნომრად განთესილმა, შარშანდელმა მოულოდნელმა ნახევარფინალისტმა ნადია პეტროვამ უ-ჭაკ-ყოჩა, ვინაც 6:2, 6:3 მოუგო კოლუმბიელ კატალინა კასტანოს. მას მიჰყვნენ ელენა დემენტიევა (9), ვერა ზვონარიოვა (10), დინარა საფინა (32), ვერა დუშევინა და მარია შარაპოვა.

25 მაისი. სამშაბათი

პირველი წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 6:1, 6:2, 6:1; **მარტინ ფერკერკი (19, ჰოლანდია)** — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 7:5, 6:3, 6:1; **ქსავიე მალისი (ბელგია)** — რაინერ შუტლერი (7, გერმანია) 6:4, 7:5, 6:4; **სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი)** — კევინ კიმი (აშშ) 6:1, 6:1, 6:4; **ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)** — არნო კლემანი (32, საფრანგეთი) 6:4, 6:3, 6:7 (5:7), 3:6, 16:14

ქალები

სერენა უილიამსი (2, აშშ) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:2; **ვინუს უილიამსი (4, აშშ)** — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:2, 6:4; **აი სუგიამა (12, იაპონია)** — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:4, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)** — ლუბომირა ბაჩევა (ბულგარეთი) 6:0, 7:6 (7:2); **პატი შნიდერი (16, შვეიცარია)** — ანიკო კაპროში (უნგრეთი) 6:4, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (17, იტალია)** — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:1, 6:2; **მარი პირსი (30, საფრანგეთი)** — კლოდინ შოლი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:3;

ენდი როდიკის მსგავსად, 2002-03 წლებში როლანგაროსობის პირველივე წრეებიდან გაბუნძულება როჯერ ფედერერსაც მოუხდა. ეგებ ამის გამო იყო, რომ ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა გუშინ საოცრად მობილიზებულმა ითამაშა და უსახელო მეტოქეს მხოლოდ ქულათა ძალზედ შეზღუდული რაოდენობა დაუთმო.

მისი თამაშის საცქერლად სიუზან ლანგლანის კორტზე თავმოყრილ ქომაგებს ეგებ გულიც კი დაწყდათ, რაკიღა მატჩმა მხოლოდ საათსა და 16 წუთს გასტანა, მაგრამ დაწყვეტილ გულებს მათ უმალ გაუმთელებლად ასეთ ფორმაში მყოფი ფედერერის მომდევნო წრეებში ხილვის იმედი. მეორე წრეში ის გერმანელ ნიკოლას კიფერს შეხვდება, ვინაც თავის მხრივ ასევე სეტისწაუგებლად (6:3, 6:2, 6:2) მოუგო ფრანგ ტიერი ასიონს.

ადგილობრივ მილეთს ამა 30-ე ნომრად განთესილმა მარი პირსმა, ვინაც უკანასკნელი ფრანგი ქალი გახლავთ, პარიზულ სეფეთიხნარზე რომ უმარჯვია. კანადური წარმომავლობის მარიმ მშობლიური სლემტიტული ოთხი წლის წინ მოიმკა, როცა რომ ჯერაც 25 წლის უტრავმებო და ხალისიანი გოგო იყო. ახლა კი ის ტრავმებმოთეული, შედრანცულებული ქალია და, თუმც დიდის აღარაფრის მომგები არ ჩანს, მაგრამ ვისთანაც გასდის, მაინც ჯიგრიანად და დაშხოშიანად ირჯება. ასე იყო გუშინაც, როცა ლუქსემბურგელი კლოდინ შოლი მან 74 წუთში დაიმორჩილა.

ლაბაძესთან სათამაშოდ

ორი მეტ-ნაკლებად სახელიანი ფრანგი — 32-ედ განთესილი არნო კლემანი და ფაბრის სანტორო ერთმანეთს ირაკლი ლაბაძესთან მეორე წრეში სათამაშოდ 71 გეიმის განმავლობაში ერკინენ, რამაც დროის თვალსაზრისით, არც მეტი, არც ნაკლები 6 საათი და 36 წუთი შეადგინა.

ამოტოლა გეიმდრო, როგორც სტატისტიკა გვამცნობს, თანამედროვე ანუ 1968-წლისშემდგომი ჩოგბურთის სარეკორდო მაჩვენებელი ყოფილა. აქამომდელ უხანგრძლივეს საერთეულო მატჩად 1998 წელს როლანგაროსზევე შემდგარი შეხლა ითვლებოდა, რომელშიც ალექს კორეჩამ არგენტინელი ერნან გუმი 5-საათიანი და 31-წუთიანი განდაგანის შედეგად დაჩოგნა.



REUTERS

ჯერ არ ვარ ჩამოსაწერი! ვეება მარი პირსი პატარებში დედოფალია

რეკორდი არ ითვალისწინებდა უხანგრძლივეს საერთეულო დევისშეხლას, თორემ ყველაზე გაუთავებელ მატჩად ჯონ მაკინროისა და მატს ვილანდერის 1982 წლის 6-საათიანი და 22-წუთიანი ბრძოლა ჩაითვლებოდა.

ისე კი, სანტორომ და კლემანმა თავიანთი სარეკორდო ბუქნაობა ორშაბათს დაიწყეს, მაგრამ მიმწუხრის გამო გაყრა მოუხდათ და შედეგად — ჩვენიანის მეტოქის ვინაობა მხოლოდ გუშინ სალამოსკენლა გაირკვა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ლაბაძე დღეს კორტზე გასვლამდე, აპრიორი უფრო მომგებიან მდგომარეობაში იქნება. ეგ მით უფრო, რომ სანტორო მას შარშან სექტემბერში სენტჟენდელუურ ჩელენჯერფინალში დაუმარცხებია.

ჰანტუხოვას რეიტინგიც დაუმჭლევდა

ოდესღაც თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ზევარსკვლავად და მორიგ ბარაქოსნად შერაცხული დანიელა ჰანტუხოვას დრამატული დაღმასვლა ისევ გრძელდება. ნიჭიერს, მაგრამ საოცრად დამჭლევებულსა და დემორალიზებულ წანწკლა სლოვაკს ამ ჯერზე ისერა იაპონელი შინობუ ასაგოე გაუმკლავდა — თანაც ძალზედ იოლად და სულ რაღაც 66 წუთში.

ჰოდა, ორ კვირაში ახალი რეიტინგსიები რომ გამოქვეყნდება, ჰანტუხოვას გვარს უკვე ზე-50-ეულის ქვევით ვნახავთ. ეს მაშინ, როცა სულ რაღაც 18 თვის წინ ის ზეხუთეულის საგანგებო და სრულუფლებიანი წევრი გახლდათ.

ლევან ძელაურაძე

პლეი ოფი

თასის ფინალი

დღეს, ჩვენი დროით დილის 5 საათზე ფინალი დაიწყო, ერთობ მოულოდნელი. მართალია, „ტამპამ" პირველი ადგილი დაიკავა აღმოსავლეთის კონფერენციაში, მაგრამ რაკი საპლეიოფო გამოცდილება არ ჰქონდა, ფავორიტად არ აღიქმებოდა. „კალგარზე" კი ლაპარაკიც ზედმეტია. 7 წლიწადი პლეი ოფზე მეოცნებე გუნდმა სამი გრანდი დაამარცხა და ყველასათვის მოულოდნელად ფინალშიც მოხვდა. ასეთი ფინალის შედეგიც ძნელად გამოსაცნობია, თუმც ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას – ეს სერია მოსაწყენი ნამდვილად არ იქნება.

მათ უკან კანადა დგას

კალგარის კარგი დარი დაუდგა

ზედიზედ მეორე სეზონია, დასავლეთიდან თასის ფინალში „კონკია" გუნდი გადის, ისეთი, მის აღზევებას რომ არავინ ელის. წლევანდელი „კალგარი" ძალიან ჰგავს შარშანდელ „ანაჰაიმს" და სხვა ამნაირთ, რომლებიც ერთხელ გაისვრიან ხოლმე, მაგრამ ფინალში მარცხდებიან და მალევე მივიწყების ფერფლი ფარავთ. თუმც რატომღაც გვჯერა, რომ „ალები" სხვა ცომისგან არიან ნაზელნი. „კალგარი" იმით არის გამორჩეული, რომ თავდაჯერებული და ჟინიანი გუნდია, რომელიც მეტოქის შეცდომებს კი არ ელოდება, თავად ახვევს მას თავს სასურველ ტემპსა და თამაშის სტილს. აქამდე განვლილ სამ სერიაში „ალებმა" არაერთხელ დაამტკიცეს, რომ გუნდს ყველაფერი აქვს საბოლოო წარმატების მისაღწევად: ბრწყინვალე -ₒₒ · ₗ მიიკა კიარუსოფი, ნამდვილი

ტამპა VS კალგარი

ლიდერები: მარტინ სან ლუი (5 გოლი + 12 პასი), ფრედრიკ მოდინი (6+9), ბრედ რიჩარდსი (8+7), ვენსან ლეკავალიე (9+4), დეივ ანდრეიჩუკი (1+9), რუსლან ფედოტენკო (8+1), დან ბოილი (1+6)	ლიდერები: ჯერომ იგინლა (10+7), კრეიგ კონროი (5+10), მარტინ ჟელინა (6+6), მარკუს ნილსონი (3+6), შონ დონოვანი (4+4), ჯორდან ლეოპოლდი (0+7), ვილე ნიემინენი (3+3)
უმაღლესი მიღწევა: თასის ფინალი (2004)	უმაღლესი მიღწევა: სტენლის თასი (1989)

2003-04 წლების სეზონში ერთადერთი თამაში „ტამპამ" 6:2 მოიგო. პლეი ოფში ერთმანეთთან არ უთამაშიათ

ლიდერი და გუნდის სული და გული ჯერომ იგინლა, საიმედო და ხისტი დაცვა და აგრესიული თავდასხმა, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს დერილ სატერის მითითებებს და მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

მაგრამ, „კალგარისდა" სამწუხაროდ, ეს ყველაფერი „ტამპასაც" აქვს, დაწყებული მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინით, დამთავრებული უმკაცრესი დისციპლინით და განსწავლულობით, რაშიც თავკაც ჯონ ტორტორელას დიდი წვლილი მიუძღვის. „ელვებს" სხვა თულფებიც აქვთ. მარტო ფორვარდების მარტენ სან ლუისა და ვენსან ლეკავალიეს წყვილი რად ღირს. თან „ტამპა" ყოველთვის რეაქტიული სიჩქარით თამაშობს, რამაც შეიძლება მოქანცოს მეტოქე. ასე რომ, ქაღალდზე „ტამპას" შანსები უფრო მეტი ჩანს და ზოგი სპეციალისტი იმასაც ფიქრობს, ამ ახალგაზრდა და პერსპექტიულმა გუნდმა შეიძლება დინასტია შექმნას. მთავარია, ახლა გაიმარჯვოს და საკუთარი ძალების ირწმუნოსო.

ერთი ნიუანსიცაა — „ტამპას" გულშხურვალედ მხოლოდ მშობლიურ ქალაქში თუ ქომაგობენ. აი, კალგარის უკან კი მთელი კანადაა. „მონრეალის", „ტორონტოსა" და სხვა კლუბების ყველა გულშემატკივარი ახლა ქვეყანაში თასის დაბრუნებაზე ოცნებობს.

კანადის გუნდს ხომ 1993 წლის მერე გადაავიწყდა ტრიუმფის გემო.

სამველ ლარიბიანი

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

II წრე

მაია ლომინეიშვილი (საქართველო) — ალისა გალიამოვა (რუსეთი) 1:0
მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — მარი სებაგი (საფრანგეთი) 1:0
ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ივეტა რაძიევიჩი (პოლონეთი) 1:0
ირინა კრუში (აშშ) — ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) 0,5:0,5

მხოლოდ ქართველთა შედეგები

ქართული სამაია ელისტაში

მაია ლომინეიშვილი

ნანა ძაგნიძე



მაია ჩიბურდანიძე

მეორე წრის შეხვედრები წარმატებით დაიწყეს ჩვენმა მანდილოსნებმა. მეთექვსმეტედფინალში გასულმა სამივე გოგონამ მოიგო პარტია და მათ მომდევნო ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი გაუჩნდათ.

ქართული პარტიებიდან ყველაზე გამოსარჩევი ლომინეიშვილისა და მსოფლიოს ქალთა რეიტინგსიაში მეხუთე ნომერ გალიამოვას შეხვედრა გახლდათ. მე-13 სვლამდე მეტოქეებმა დაფა მშვიდობიან, საჩვენებელ აღლუმს დაუთმეს და ძალის დემონსტრირებას მორჩნენ თუ არა, სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღეს. შეტაკებაში ქართველმა გადაძალა რუსი და ორი პაიკით მოგებული დარჩა. 51-ე სვლისთვის მაიას ხელმწიფე მხედარი და ორი პაიკი შერჩა, მეტოქეს კი მხოლოდ „ცხენიანი" მეფე. ქართველი პაიკების გაყვანას შეუდგა. ფიგურებნაკლულმა რუსმა ერთი-ორი კი გაიბრძოლა მის შესაკავებლად, მაგრამ ოცდაოთხ სვლაში მიხვდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდოდა და სამფეროვანი ალამი ერთფეროვანით, თეთრით შეცვალა.

ნაკლები ბრძოლა დასჭირდა 17 წლის ძაგნიძეს. პოლონელმა ივეტა რაძიევიჩმა თავიდანვე კარგად იცოდა ქართველის ძალა, ამიტომაც დებიუტში იფრთხილა, ფიგურების ცენტრი გაშვებას მოერიდა და მხოლოდ წინა, მე-6 ხაზზე გაამწკრივა პაიკები. მე-5 სვლაზე ნანამ კუ გაუშვა იერიშზე, თუმც მარბიელმა ფიგურამ მეტოქის გამაგრებული კედელი ვერ გაარღვია და უკან დახევა ამჯობინა. ძაგნიძემ ახლა სხვა მხრიდან მიიტანა მტრის ბანაკზე იერიში, პოლონელის გამაგრებულ პაიკებს პაიკებით დაუპირისპირდა და მიზანსაც მიაღწია. ქართველმა შავების კედელი მალევე მოარღვია, ლაზიერი კი მსუბუქ ფიგურებთან ერთად მეფეზე მიუშვა და მე-19 სვლაზე გამარჯვება ჩაიწერა.

მაია ჩიბურდანიძეს თითქმის 100 სვლა დასჭირდა გამარჯვებისთვის. ქართველის მეტოქე მარი სებაგი ნამდვილად არ კრეფს ციდან ვარსკვლავებს, თუმც ჩვენებურთან თავი გამოიდო და 94 სვლა გაუძალიანდა.

მეხუთე სვლაზე ქართველმა და ფრანგმა პაიკები გაცვალეს, შემდეგ კი დროებითი ზავი დადეს და თავიანთ ტერიტორიებზე ფიგურების მობილიზებას შეუდგნენ. თანდათან შავები გააქტიურდნენ და ლაზიერის ფლანგიდან მიაწვნენ თეთრებს. მე-16 სვლაზე შავი დედოფალი თეთრების სიმაგრეში შეიჭრა, e2 უჯრაზე მდგარი პაიკი აწაპნა და ამ პოზიციაზე გამაგრდა. 28-ე სვლაზე ჩიბურდანიძემ საკუთარი ლაზიერი სებაგს ეტლებში გაუცვალა და უკეთეს პოზიციაში დარჩა, თუმც b ხაზზე მოძრავი პაიკი ერთ უჯრამდე მიიახლოვა. ჩიბურდანიძემ ნახევარი არმია მტრის შემტევი პაიკისკენ გადაისროლა, ნაწილი კი მეტოქე მეფეს მიუსია და ხარისხობრივი წონასწორობა აღადგინა. ბრძოლა პაიკების გაყვანაზე გაგრძელდა, შავებმა a ხაზის პაიკი გაუშვეს ფინიშისკენ, თუმც ჩიბურდანიძემ კვლავ იყოჩაღა, ზუსტი მანევრები განახორციელა და ფრანგი პაიკების გარეშე დატოვა. 75-ე სვლისთვის თეთრი ხელმწიფე, ეტლი, კუ, მხედარი და პაიკი მოწინააღმდეგის მეფე-დედოფლის წინაშე აღმოჩნდნენ. ჩიბურდანიძემ პაიკის გაყვანაზე დაიწყო ზრუნვა, მეტოქე კი ხშირი ქიშებით ცდილობდა, ყაიმისთვის მიეღწია, თუმც ვერას გახდა და ფარ-ხმალი დაყარა.

ლაშა გეგეჭკორი



ბავშვი უძახე...
დავიდ ნავარა ევროპის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია

ევროპის ჩემპიონატი

თურქეთი. ანთალია. 14-31 მაისი

IX ტური

ბაადურ ჯობავა (საქართველო) — ლევონ არაიანი (სომხეთი) 0:1
ზვიად იზორია (საქართველო) — მიხეილ გურევიჩი (ბელგია) 0,5:0,5

მხოლოდ ქართველთა შედეგები

1 დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	7
2 მიხეილ კრასენკოვი (პოლონეთი)	6,5
3 ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	6,5
4 ლევონ არაიანი (სომხეთი)	6,5
5 ანდრეი ისტრატესკუ (რუმინეთი)	6,5
14 ბაადურ ჯობავა (საქართველო)	5,5
25 ზვიად იზორია (საქართველო)	5

87 giro d'italia

ჯირო დიტალია 2004. 8-30 მაისი

პეტაკი მთას ებრძვის

ვაკე-ფინიშები და ალესანდრო პეტაკის ყოველდღიური ზეიმი დასრულდა, ჯიროს ქარავანი დოლომიტების ალპებს მიადგა და პირველივე სერიოზულმა აღმართმა სპირინტერები პელოტონის წვერიდან კუდში გადაისროლა. რას იზამენ, ზოგს ბუნებამ გამძლეობა უბოძა, სხვებს ვაკეზე ბოლო ას მეტრზე ფეთიანი სრბოლის უნარი მიანიჭა.

სანამ მთები გადაეღობებოდა, პეტაკიმ რვა ეტაპის მოგება მაინც მოასწრო და ომისშემდგომი ჯიროს რეკორდიც დაამყარა.

მთებში კი სულ სხვები დაეძებენ გამარჯვებას და სახელს და მომავალი ჩემპიონიც ამათშია მოსაძებნი.

23 წლის იტალიელმა დამიანო კუნეგომ ჯირო სახელიანი თანაგუნდელის ჯილბერტო სიმონის გრეგარის სტატუსით დაიწყო — სიმონი მარშანდელი ჩემპიონი გახლავთ და თავისთავად წლეულსაც ფავორიტობდა — მაგრამ მთებში ისე ყოჩაღად ატრიალა პედლები, ვინ იცის, ჩემპიონობასაც გამოჰკრას ხელი (თუ ფეხი). ჩიტის წონის კუნეგოს ყველაზე მეტად ინდივიდუალურ ბოლაში გაუჭირდა (მე-13 ეტაპი). აქ ის სიმსუბუქის გამო ველოსიპედს ისეთ გაქანებას ვერ მიანიჭებს, რომ მძიმეებს დაეწიოს. აკი ინდივიდუალურში სამ წუთზე მეტი წააგო საერთო ჩათვლაში დაწინაურებულ უკრაინელ სერგეი გონჩართან და სულაც მეექვსე ადგილამდე ჩაცოცდა, მაგრამ მთებში ისე მოკურცხლა, ერთბაშად ამოიღო წაგება. კუნეგომ ფინიშამდე მთელი 60 კილომეტრით ადრე შეუტია და უახლოეს მდევარს წუთზე მეტი მოუგო, გონჩარს კი ორნახევარი წუთით მიასწრო და ლიდერის ვარდისფერი მაისურაც უკან გამოსთხოვა.

მე-16 ეტაპი. 25 მაისი. სან ვენდემიანო — ფალცესი. 217 კმ

1 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	6 სთ, 10 წთ, 12 წმ
2 რინალდო ნოჩენტინი (იტალია) აკუა -საპონე	+1 წთ, 16 წმ
3 ალექსანდ მოოსი (შვეიცარია) ფონაკი	+1 წთ, 38 წმ
12 სერგეი გონჩარი (უკრაინა) დენარდი	+2 წთ, 39 წმ
14 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	73 სთ, 01 წთ, 21 წმ
2 სერგეი გონჩარი (უკრაინა) დენარდი	+1 წთ, 14 წმ
3 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბოუკრედიტი	+2 წთ, 22 წმ
4 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	+2 წთ, 38 წმ
5 ჯულიანო ფიგერასი (იტალია) კერამიჩე პანარია	+3 წთ, 31 წმ
6 ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDGeux.com	+3 წთ, 52 წმ

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge